საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 19 ოქტომბერი, 2013 წელი.

№201 (7328)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭორებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

საქართველოს ექსპრემიერ ჟვანიას ოჯახი მისი სხეულის ექსჰუმაციაზე თანახმაა

8

ბიძინა ივანიშვილმა მომხრეები შეაშინა

8

სააკაშვილი ირწმუნება, რომ ჟვანიას გარდაცვალება უბედური შემთხვევა იყო

11

საღ დაიკარგა სული აზრი?

3

საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური „ავანტიურა“

4



„დიდი აფეთქება“ ფილოსოფიური ხედვით

6 7

მარტვილის შემოდგომის ვასტორალი

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პრეზიდენტი

„თქვენ ჩემი მიჯირყვნა გადაწყვიტეთ?“

„თქვენ, ჩემი მიჯირყვნა გადაწყვიტეთ?“ — for.ge-ს ამ რეპლიკით პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მას შემდეგ მიმართა, რაც დავინტერესდით, ქუთაისში პარლამენტის გადატანით რა შეიცვალა რეგიონისთვის, მოხდა თუ არა დეცენტრალიზაცია, ინტერესდება თუ არა ქვეყნის პირველი პირი აპარატის თანამშრომელთა ქუთაისური ცხოვრებით და თუ ასეთი მნიშნელოვანია ქუთაისში საკანონმდებლო ორგანოს არსებობა, „ნაციონალური მოძრაობა“ უწყებაში რატომ დადის პრიორიტეტული საკითხების განხილვის მიხედვით.

პრეზიდენტი ჩვენს კითხვებს დაელოდა, საკუთარი რეპლიკის შემდეგ გულიანად გადაიხარხარა და დაგვარწმუნა, რომ **ქუთაისში ტურისტთა რაოდენობა 80-ჯერ გაიზარდა, თუმცა, ამ ხელისუფლების პირობებში, „მსოფლიოში ყველაზე ლამაზი პარლამენტი საძოვრად გადაიქცა“.**

მიხეილ სააკაშვილმა 360 მლნ ლარიანი პარლამენტის შენობის პერიმეტრზე არსებულ ვითარებაზე საუბარი მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც თურმე, გუშინ, ქუთაისს გადმოუფრინა და ნახა, რომ უწყების ტერიტორიაზე თივის ზვინები იყო.

„საძოვრებსა“ და „თივის ზვინებზე“ საუბრის მიზნით, ქვეყნის პირველმა პირმა ქუთაისს დღეს ისევ გადმოუფრინა და პარლამენტის შენობის ჩრდილოეთის მხარეს, ტიალ მინდორზე მყოფი ძროხების ნახვის მიზნით, ადგილზე მედიის წარმომადგენლებიც მიიპატიჟა. პრეზიდენტმა თავდაპირველად მოგვიწოდა კითხვები დაგვესვა, თუმცა, ვთხოვეთ, საკუთარი სათქმელი თავად ეთქვა.

პრეზიდენტმაც არ დააყოვნა და აღნიშნა, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, „ამხელა შენობა“ პრაქტიკულად ერთ წელში აშენდა, გარშემო პერიმეტრის მოწესრიგებას კი, ერთი თვე სჭირდებოდა, თუმცა, იმის ნაცვლად, რომ ტერიტორია მოწესრიგებულიყო და ქუთაისელებისთვის ხელოვნური ტბა გადაკეთებულიყო, პერიმეტრი საძოვრად გადაქცეულა.

„გუშინ, აქ რომ გადავიფრინე, ვნახე, რომ ტერიტორია თივის ზვინებით იყო გარემოცული. ეტყობა გაიგეს, რომ აქ მოვდიოდი და მთელი ღამე იმუშავეს და ეს ზვინები წაიღეს. მსოფლიოს ყველაზე ლამაზი პარლამენტი თანდათან საძოვრად გადაიქცა. ქუთაისელებს მინდა ვუთხრა, რომ მთავრობას გეგმა აქვს - საპრეზიდენტო არჩევნები პირველ ტურში დაამთავროს და პარლამენტის აქედან წაღების საკითხი კენჭისყრაზე დააყენოს. ქუთაისელებო, ძალიან მიყვარხართ, მაგრამ მერე, არავინ მითხრას, მიშა, რა დღეში ჩაგვყარეო! ახლა ხმას თქვენ აძლევთ და თქვენი გადასაწყვეტია, უნდა იყოს თუ არა ქუთაისი საპარლამენტო ქალაქი. მე ეს საკითხი გადავწყვიტე და საქმე გავაკეთე კიდეც. მართალი გითხრათ, კბილებით მიჭირავს, რომ პარლამენტი აქედან არ წაიღონ.

ქვეყანაში დემოკრატიაა, პინოჩეტი არ ვარ და არც დიქტატურა დამიმყარებია. გინდათ, განვითარება გაგრძელდეს, თუ გსურთ, დასავლეთ საქართველოს განვითარების ეს კონკრეტული იმედი, მითიურ ფულებზე გავცვალოთ, რომელსაც არავინ მოგცემს და რომელსაც ვერც ვნახავთ?!“, — მიმართა ქუთაისელებს პრეზიდენტმა, რომლის შემდეგაც მას პასუხების გაცემა for.ge-ს კითხვებზე მოუწია.

პრეზიდენტსა და ჩვენს შორის წარმოებულ დებატებს, ბლიც ინტერვიუს სახით შემოგთავაზებთ:

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ საუბრობდით დეცენტრალიზაციაზე და ქალაქის განვითარებაზე. თუმცა, ამჟამად, ქუთაისი არის ქალაქი, სადაც ტრანსპორტი 21:00 საათის შემდეგ არ დადის. პარლამენტის ქუთაისში გადმოტანით, რა შეიცვალა რეგიონისთვის? ასევე ინტერესდებით, თუ როგორ პირობებში ცხოვრობენ აპარატის თანამშრომლები?

— აპარატის თანამშრომლები ქუთაისელებად ჩამოყალიბდნენ. შეგიძლიათ, ქუჩის მეორე მხარეს გადახვიდეთ და იკითხოთ, თუ რა ღირს საცხოვრებელი სახლები. ასევე შეგიძლიათ, ქალაქის ცენტრში გაიაროთ და გალამაზებული ქალაქი ნახოთ. ამასთან, ნახავთ, თუ რამდენი კაფე გაიხსნა.

— იმ კაფეებზე საუბრობთ, რომლებიც 23:00 საათზე უკვე არ მუშაობს?

— ადრე, არც ერთი კაფე არ იყო და ის, რომ კაფეები 23:00 საათის მერე არ მუშაობს, ალბათ, ხალხს ადრე ეძინება. თუ შეამჩნიეთ, 21:00 საათის შემდეგ, ჩვენი მთავრობა არ მუშაობს და სტაფილოს წვენებიც მოდაშია. ქუთაისის აეროპორტი გაიხსნა და რეისების რაოდენობა 50-ჯერ გაიზარდა. აი, რა მოიტანა პარლამენტმა ქუთაისში. ამ წელს, ქუთაისში იმდენი ტურისტი ვნახე, რომ ამდენი ტურისტი საქართველოში, მთელი წლის მანძილზე ერთად აღებული არ მინახავს.

— ქუთაისს ტურისტები არც ადრე აკლდა. ქალაქი ტურისტებითვის ყოველთვის საინტერესო იყო თავისი — ბაგრატის, მოწამეთასა და გელათის მონასტრებით...

— ვაიმე, ვაიმე, თუ დებატებს ვმართავთ, არ ვიცი, მაგრამ ბოდიშს ვიხდი და მოწამეთა და ბაგრატი დანგრეული იყო. მგონი, არც ისე პატარა ხართ, რომ ეს არ გახსოვდეთ. აქ ხალხი ნანგრევების სანახავად ჩამოდიოდა, ახლა კი, გალამაზებულია და ადგილებზე გზები მივიყვანეთ. ამას გარდა, წყალტუბოში უამრავი რამ გაკეთდა და აღორძინება დაიწყო. დღეს, ქუთაისს 80-ჯერ მეტი ტურისტი სტუმრობს და ქუთაისი გამოცოცხლდა, მაგრამ ამ გამოცოცხლებას პარლამენტის უკან დაბრუნების იდეა აზარალებს. იმდენი ხალხი ვერ იყიდეს და ვერ გადაიბირეს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებები მიიღონ. ის დიდი ოცნება, რომ საქართველო წარმოდგენილი იყოს ქედის იქეთ და ქედის აქეთ, ოცნებად დარჩება.

— ბატონო პრეზიდენტო, პოსტიდან ისე მიდიხართ, რომ პარლამენტში წლიური მოხსენებით არ გამოსულხართ. უწყებაში მისვლა, რატომ გადაიფიქრეთ?

— ამ პარლამენტში ორჯერ გამოვედი და დიდი სიამოვნება მივიღე. აქ გამოსვლის საშუალება, შესაძლოა, ოდესმე, მესამეჯერაც მომეცეს. მთავარია, რომ პარლამენტი აქ იყოს. ეს უნდა მათ, ვინც აქ ცხოვრობს. პარლამენტის აქ დატოვება, ამ ძროხების პატრონებს არ სურთ, რადგან აქ უფრო მეტი საძოვრები გაჩნდება.

ჩვენი კითხვების შემდეგ, პრეზიდენტმა მედიის წარმომადგენლებს მოსმენისთვის მადლობა გადაუხადა და ტერიტორია დატოვა. მართალია, პრეზიდენტი „ჭიქაში ქარიშხლის“ მოწყობას შეეცადა, მაგრამ პარლამენტის მიმდებარე პერიმეტრი ადრეც საძოვრად გამოიყენებოდა და პრინციპში, ახლაც, რადგან მთელი ზაფხულის მანძილზე ბალახი არავის მოუთიბავს და ბალახი მთავრობის სახლის კიბეებზეც კი ამობიბინდა. ერთი კვირის წინ, ტერიტორიაზე ბალახის გათიბვა მას შემდეგ დაიწყეს, რაც სოციალურ ქსელებში ფოტოები გავავრცელეთ.

თეონა მანაგაძე

◎ რეპლიკა

რამ შეგვახსენა?



მასობრივი უმუშევრობით გაწამებულ ჩვენს ქვეყანაში საპრეზიდენტო სკამის მსურველთა ანეკდოტურად დიდმა რიცხვმა, რომელმაც „ცესკოს“ მიერ საგანგებო „გაცხრილვის“ შემდეგაც შეინარჩუნა „გინესის წიგნში“ შესატანი რაოდენობა— 23 კანდიდატი, ძალაუნებურად შეგვახსენა საქართველოს დამსახურებული მხატვრის, სულგანათლებულ მურთაზ აბაშიძის კარიკატურა. იგი გასულ საუკუნეში შეიქმნა, მაგრამ აქტუალობა დღესაც არ დაუკარგავს. ეს ხაზგასმით უნდა ითქვას, რამეთუ პრეზიდენტობის მსურველთა ამგვარი უჩვეულო სიმრავლე იმის საგანგაშო დასტურია, რომ ხსენებული კარიკატურის შექმნის შემდეგ სამუშაოს ძიებისას სამშობლოს გარეთ და სამშობლოში ღობე-ყორეს მოდებულთაგან ბევრმა დაკარგა ნორმალური განსჯისა და თავის შესაძლებლობათა რეალური შეფასების უნარი.

ალექსანდრე შენგელია

სურათზე: „სკამი, რომელსაც ვეპოტინებით.“

საქართველოს დამსახურებული მხატვრის **მურთაზ აბაშიძის** კარიკატურა.

◎ წკეპლიკა

სწორედ სოჭში, სწორედ იმერეთის ველზე...

დღევანდელი მსოფლიო გადაქცეულია ძალადობის უკიდეგანო სცენად, სადაც მოქმედებენ სხვადასხვა ქვეყნის მმართველი ძალები, ძალაუფლების ავადმყოფური სენით დაავადებულნი. აი, მაგალითად რუსი პოლიტიკოსები მსოფლიო ბატონობის ჟინით არიან შეპყრობილნი, და არა მარტო პოლიტიკოსები, ბევრი ცნობილი რუსი მწერალი, მოაზროვნე. ისეთი დიდი მწერალი, როგორიც დოსტოევსკია, წერდა: „კონსტანტინოპოლი ადრე თუ გვიან ჩვენი უნდა იყოს. ისეთ გოლიათს, როგორიც რუსეთია, უნდა ჰქონდეს გასასვლელი სივრცეში, ისუნთქოს ზღვათა და ოკეანათა ჰაერით“. რუსეთის პოლიტიკა მისი ისტორიის მანძილზე იყო და არის პოლიტიკა ბატონობისა. ამის შესახებ სწორად აღნიშნავდა მერაბ მამარდაშვილი: „В россииской истории есть долгодействующая сила, губительная, _ перед которой можно оказатся виноватым, _ ето Государь император“.

რა უნდა დავუპირისპიროთ რუსეთის აგრესიულ პოლიტიკას? მათ პროვოკაციას პროვოკაციით ვუპასუხოთ, როგორც ეს აგვისტოში გავაკეთეთ? არამც და არამც, ოღონდ, არ შეცვდები და ვიტყვი, რომ სააკაშვილი კვლავ შეეცდება პროვოკაციას პროვოკაციით უპასუხოს, გაამწვავოს ვითარება საზღვარზე, გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა, ჩაშალოს არჩევნები და ამით გაახანგრძლივოს თავისი „გმირული“ პრეზიდენტობა.

ლონდა მდივანი

P. S. რაც შეეხება ჩვენს მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში, ვფიქრობ, სწორედ იმერეთის ველზე დავუმტკიცებთ არა რუსეთს, არამედ მსოფლიოს ოლიმპიურ მოძრაობას სოლიდარობასა და თანადგომას.

ლ. მ.

◎ არჩევნები

გაყალბებების საპრევენციოდ

საპრეზიდენტო არჩევნებამდე ათიოდე დღეღა დარჩა, ამდენად გასაკვირი არ არის, რომ ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა დაძაბულობამ საგრძნობლად მოიმატა.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დონის ფაქტობრივად ყველა არჩევნებისგან განსხვავებით მომავალი არჩევნების გაყალბების ალბათობა თითქმის არ არსებობს, საარჩევნო ბიულეტენების ფალსიფიკაციისგან დასაცავად სამოქალაქო სექტორის აქტიურობა საკმაოდ მაღალია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება კოალიცია „ერთსულოვნების“ აქცია, რომელიც ქვეყნის ყველა დიდ ქალაქში იმართება.

თბილისში არჩევნების გაყალბების საპრევენციოდ რუსთაველის მოედანზე საგანგებოდ გაშლილი კარვის ბანერზე, კერძოდ, მთავარი ლოზუნგია: „არჩევნები უნდა ჩატარდეს გაყალბების გარეშე!“ მასზე ასევე აღნიშნულია, რომ საარჩევნო პროცესში მილიონზე მეტი გაყალბებული ხმა მონაწილეობს, ამიტომ ყველა მოქალაქეს არჩევნებში დამკვირვებლად ჩართვას მოუწოდებენ, რასთან დაკავშირებით 21 ოქტომბრამდე მათი რეგისტრაცია მიმდინარეობს.

20 ოქტომბერს კი საარჩევნო უბნებზე დამკვირვებლის სტატუსით დასწრების მსურველ თბილისელებს 13 საათზე რუსთაველის ძეგლთან შეკრებაზე იწვევენ.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

◎ 50 წლის შემდეგ

სახელმძღვანელოები უსინათლო მოსწავლეთათვის

2013 წლიდან ინკლუზიური განათლების მიმართულებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 50 წლის შემდეგ პირველად, უსინათლო მოსწავლეებისათვის სპეციალური სასკოლო სახელმძღვანელოების სრული კომპლექტი ბრაილის შრიფტით დაიბეჭდა.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წელს, ასევე პირველად, საქართველოს მასშტაბით არსებულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა 8 სკოლა-პანსიონის მასწავლებლებს ხელფასი გაეზარდათ. ასევე, წელს ყველა საჯარო სკოლაში, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე სწავლობს, დამატებითი პერსონალი-სპეცმასწავლებელი დაინიშნა, რომელსაც სამინისტრო აფინანსებს.

უსინათლო და სუსტადმხედველი მოსწავლეებისათვის პანსიონურ მომსახურებას საქართველოს მასშტაბით ერთადერთი, თბილისის 202-ე საჯარო სკოლა ახორციელებს. სკოლას გუშინ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე ეწვია და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შეხვდა.

მინისტრი მათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის უკვე განხორციელებულ და დაგეგმილ სიახლეებზე ესაუბრა და პირადად გაეცნო მათ საჭიროებებს.

202-ე საჯარო სკოლაში დღეისათვის 49 მოსწავლე ირიცხება. პანსიონში სწავლება მიმდინარეობს როგორც ჩვეულებრივი, ისე ბრაილის შრიფტით ნაბეჭდი სახელმძღვანელოებით. ვინაიდან ბავშვებს მრავალი წლის მანძილზე არ გააჩნდათ ბრაილით ნაბეჭდი სახელმძღვანელოები, აღმზრდელებს უხდებოდათ უსინათლო მოსწავლეებისათვის ტექსტების კითხვა და ამ ფორმით ეხმარებოდნენ მათ განათლების მიღებაში.

ინტერპრესი

საღ დაიკარგა სალი აზრი? – 4

— პატიოსნება საუკეთესო პოლიტიკაა

(ბენჯამენ ფრანკლინი)

— სწორი აზრი უნდა ბატონობდეს ავტორიტეტზე, და არა პირიქით

(ევროპელი განმანათლებლები)

ამ სტატიის გამოქვეყნებას აღარ ვაპირებდი, რადგან როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლების მხრიდან ვერანაირი რეაქცია ვერ დავინახე გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებზე (ეს არა მარტო ჩემს წერილს ეხება). გამახსენდა ძველი გამოთქმა, ასეთი შემთხვევისთვის თქმული „წერე და იკითხე, რამდენიც გინდა“.

მაგრამ ცდუნებას ვერ გავუძელი, გამომეთქვა ჩემი აზრი იმ აღმაშფოთებელ ვითარებათა შესახებ, რაც ხდება ჩვენს ქვეყანაში და ხალხის, საზოგადოების დიდი ნაწილის ინტერესების წინააღმდეგ არის მიმართული, იმსხვრევა ის იმედები, რომლებიც ბატონი ბ. ივანიშვილის თავკაცობით ნაციონალების დამარცხების შემდეგ გაჩნდა ხალხში.

ნაციონალების 9-წლიანი „მოღვაწეობის“ შედეგად, სხვა ბევრ უბედურებასთან ერთად წინა მთავრობის მიერ ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ გატარებულმა პოლიტიკამ საზოგადოება გახრწნა, დეგრადაციის გზაზე დააყენა, დაანაწილა, ერთმანეთს დააპირისპირა. ქვეყანა გაიცხო გამყიდველებით, რომლებიც ქვეყნის ინტერესების მაღლა საკუთარს აყენებენ. კომუნისტური რეჟიმიდან გამოსვლის შემდეგ ისტორიულად საოცნებო დამოუკიდებლობის მიღების ნაცვლად (როდესაც მუშაობდა მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვითარდებოდა სამედიცინო მომსახურება, სწავლა-განათლება უფასო იყო, მეცნიერება ყვაოდა, საქართველოს ავტორიტეტი მაღალი იყო) გავხდით დაჩაჩანაკებული, განვითარებადი ქვეყანა, ტერიტორიებდაკარგული, უმუშევარი და მოშიმშილე ხალხით სავსე, საიდანაც, ვისაც შეუძლია, სხვა ქვეყანაში გარბის, თანაც ევროპა-ამერიკის სურვილზე მთლიანად დამოკიდებული (ეს არის პარტნირობა?), თანაც დასავლეთი საქართველოს იყენებს რუსეთის საწინააღმდეგოდ მყეფარ ლეკვად (სააკაშვილის წყალობით), ჩვენი მეზობელი ქვეყნები (აზერბაიჯანი და სომხეთი) თავისუფლად ახერხებენ დასავლეთთანაც (განსაკუთრებით ამერიკასთან) კარგად იყვნენ და რუსეთთანაც. ჩვენ კი სააკაშვილის „ბრძნული პოლიტიკის“ შედეგად ეს ვერ მოვახერხეთ. მახსენდება მ. სააკაშვილის აღტკინებული გამოსვლა გაეროში, მთლიანად გაჯერებული რუსეთის ლანძღვა-გინებით და კრიტიკით (საკრიტიკო რუსეთს ნამდვილად აქვს), მაგრამ ყოველგვარი ანალიზის გარეშე, საერთოდ რუსეთის როლის იგნორირებით საქართველოს ისტორიაში.

სამწუხაროდ მ. სააკაშვილს „დაავიწყდა“ ეთქვა, რომ ლომის წილი მას ეკუთვნის მისი სულელური პოლიტიკის გამო ჩვენს წინააღმდეგ რუსეთის მიერ განხორციელებულ ქმედებებში. **ამაზრზენი იყო ის, რომ მ. სააკაშვილის ამ ამბიციურ გამოსვლას მ. ფანჯიკიძემ ტაში დაუკრა (ვის აამა ამით მან? ეს არის ქვეყნის სასარგებლო პოლიტიკა? საგარეო საქმეთა მინისტრი მეტი წინდახედული არ უნდა იყოს?)** ნუთუ გაუგებარია, რომ რუსეთთან კეთილმეზობლობას ალტერნატივა არა აქვს? ამას ადასტურებს მეცნიერიც და საღად მოაზროვნე ადამიანიც. ამის წინააღმდეგი არიან ვაი-პატრიოტები და ვერცხლზე გაყიდულები (საბედნიეროდ, უმცირესობა).

ამ სტატიას ეს ორი ეპიგრაფი იმიტომ წავუმძღვარე, რომ სამწუხაროდ, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს აანალიზებ, კარგად ჩანს, რომ დაკარგულია საზოგადოებისათვის ამ პროცესების შემოთავაზების დროს პატიოსნური მიდგომა და იგნორირებულია სწორი (საღი) აზრი.

ვეცდები, ეს ვაჩვენო ფრაგმენტულად ზოგიერთი ქვემოთ მოყვანილი საკითხის მაგალითზე. წინასწარ მინდა განვაცხადო, რომ ამ საკითხების ანალიზის და შეფასების დროს ძირითად კრიტერიუმად მიმაჩნია ხალხის ინტერესების დაცვა.

პირველი საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო, ეს პრეზიდენტის არჩევნებია. თავიდანვე აღვნიშნავ: **საზოგადოების დეგრადაციის შედეგია ის, რომ 60-ზე მეტი ადამიანი პრეზიდენტობას მოინდომებს, რომელთაგან უმრავლესობის გვარიც არ გაუგია საზოგადოებას!** ალბათ, გამსვლელი კანდიდატურები არიან გ. მარგველაშვილი და ნ. ბურჯანაძე, თუმცა დღევანდელ სიტუაციაში, მიუხედავად ნაკლები გამოცდილებისა, გაიმარჯვებს გ. მარგველაშვილი (ვგულისხმობთ, რომ მის გვერდით ბ-ნი ბიძინა იქნება).

ნ. ბურჯანაძე, მიგვაჩნია (ეს მრავალი ადამიანის აზრია) უნდა დაინიშნოს ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობაზე (ეს იქნება ნამდვილი კოჰაბიტაცია, სასარგებლო ჩვენი ქვეყნისთვის).

რაც შეეხება დ. ბაქრაძეს, რომელიც (პატიოსნების პოზიციიდან გამომდინარე) საერთოდ არ უნდა დათანხმებულიყო პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობას, ის მეხუთე ადგილზეც ვერ უნდა გავიდეს თავისი მოღვაწეობიდან და ახლანდელი დემაგოგიური განცხადებიდან გამომდინარე. მისი მეორე ადგილზე „გათრევა“ იქნება ამერიკის და რესპუბლიკელების „დამსახურება“, რასაც შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს. კარგად უნდა გაიგოს ამერიკის ელჩმა, რომ დ. ბაქრაძის მიერ მათი დახმარებით მიღებული ქულები უკუპროპორციული იქნება ამერიკის ავტორიტეტისა საქართველოში. იმედია, ხალხის განწყობას მხედველობაში მიიღებენ ისინი და ჩამოსული დამკვირვებლებიც (აქაც პატიოსნობის საკითხი დგას), ვინაიდან დ. ბაქრაძის აღზევება გამოიწვევს მოსახლეობის განწყობის შეცვლას რუსეთის სასარგებლოდ(!).

აქვე აღვნიშნავ: ნაციონალების პარტიის ყრილობის შედეგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად გ. ვაშაძის ბრიყვული განცხადებისა, პარტია არავითარი განახლების გზას არ დასდგომია. ასევე დემაგოგიური განცხადება დ. ბაქრაძისა — შეცდომებს წარსულში ვტოვებთო — გააბათილა მ. სააკაშვილის, ვ. მერაბიშვილის და დ. ბაქრაძის არჩევამ პარტიის ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ხუდონჰესის მშენებლობის საკითხს. მაოცებს ამ საკითხისადმი როგორც სამინისტროს, ისე საზოგადოების ნაწილის (მათ შორის ენერგეტიკოსების) მიდგომა. ლაპარაკობენ დიდ სიმძლავრეებზე, დიდ მოგებებზე, დაბალ გადასახადებზე და ა. შ. და გამორჩათ ხალხი, სვანები, იქ მცხოვრებნი, მათი ინტერესები, მათი ზნე-ჩვეულებები, ტრადიციები. **სვანურ ეთნოსს მოფრთხილება უნდა, მოფერება უნდა! ეშმაკს წაუღია ის ფული, რომელიც მათ ინტერესებს შელახავს და ინვესტორებისა და მეწილეების ჯიბეს გაამდიდრებს.** ღმერთის მაინც არ გეშინიათ, როდესაც ასე იქცევით? ისმის სპეკულანტური განცხადებები, უხუდონჰესოდ საქართველო ჩაბნელდებაო, თურმე ხუდონჰესის აშენებით ხელფასები, პენსიები მკვეთრად გაიზრდება, კეთილდღეობა იქნება და ა. შ. (სამწუხაროდ, ასეთი მიკერძოებული განცხადება გაკეთა ჩემთვის მეტად სიპატივცემლო კაცმა ა. ჭითანავამ, თითქოს ხუდონჰესი ჯადოსნური ჯოხი იყოს. გასაგებია, რომ მან პროექტი დაიცვა, მაგრამ ასეთი განცხადებით?).

ასევე იგნორირებული იყო ეკოლოგიის ცვლილება. მადლობა ქალბატონს, რომელმაც ყურადღება გაამახვილა ამ საკითხზე, მაგრამ გამაოცეს სხვებმა, ტელეგადაცემის მონაწილეებმა. რა გასაკვირი უნდა იყოს, რომ ხუდონჰესის აუზი შეცვლის სვანეთის ეკოლოგიას? საქართველო თავისი რელიეფით და ადგილმდებარეობით ლოკალური ეკოლოგიების ქვეყანაა და შექმნილი ეკოლოგიური ცვლილება დიდ ტერიტორიაზე არ გასაშუალდება, იქვე რჩება .

ენგურჰესის აუზი არ ეყოფა? ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ განაცხადა: 340 ჰა ტყე იჩეხებაო, სულ 500 ჰა ტერიტორიას იკავებსო, ყველა საფლავს გადაიტანთო, ეკლესიის ერთ აგურს არ დავკარგავთ, ისე გადავიტანთო, სოფელი რომ დაიტბორება, ეს არაფერი, სხვაგან გადავასახლებთო. თუ ამ ჩინოვნიკს რიცხვი 340 ეცოტავება, სხვა (აქედან გამომდინარე) რიცხვებს მოვუყვან: 340 ჰა არის 3.400.000 კვადრატული მეტრი. ავიღოთ 10 კვადრატულ მეტრზე ერთი ხე (ცხადია, სვანეთის ტყეში მეტი იქნება), მინიმუმ 340.000 ათწლეულობით გაზრდილი ხე მოიჭრება (რეალურად კი მილიონამდე ხე).

პირდაპირ გამაოგნა ასეთმა გულცივმა მიდგომამ. რა დიდი ჰესების ავადმყოფობა დაემართათ, ბატონმა ბიძინამ ხომ განაცხადა, დიდ ჰესებს აღარ ავაშენებთო. მერე რა მოხდა?

სვანები მართალი არიან, მთელმა სვანეთმა მხარი უნდა დაუჭიროს ხაიშელებს, და არა მარტო სვანებმა, მთელმა საქართველომ. ალბათ, ღირს საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მივმართოთ. საქართველო ჰიდრორესურსების ქვეყანაა, ნუთუ არ შეიძლება სხვა გამოსავალი მოინახოს (მაგ. კასკადური ჰესები, ან საერთოდ საშუალო და ბევრი; მესმის, რომ უფრო ძვირი დაჯდება, სამაგიეროდ ხალხი არ გაუბედურდება)?

აქვე ვიტყვი ნამახვანჰესის შესახებ, რომლის მშენებლობის დროს ტვიში დაიფარებაო. იქ ლეჩხუმელები აფორიაქდებიან. ვის აწყობს ეს? მით უმეტეს რომ ყოფილა პროექტი, რომლის დროსაც ტვიში არ დაიფარება.

დაბოლოს, ამ საკითხთან დაკავშირებით მინდა შევნიშნო: ტელეგადაცემები, რომლებიც ამ საკითხს აშუქებდნენ, ისე მიჰყავდათ წამყვანებს (ერთი ჟიჟილაშვილი იყო, მეორე წამყვანის გვარი სხვა არხზე არ მახსოვს), რომ მხოლოდ აღშფოთებას თუ იწვევდნენ. მათთვის ეს პიარი იყო, მათ ოდნავადაც კი არ შეხებია სვანების ბედი, რაც არა მარტო მათ არაპროფესიონალობაზე მიუთითებს, არამედ ჟურნალისტურ უპატიოსნობაზეც, თორემ პატიოსან პროფესიონალებს, ქვეყნის ბედის გულშემატკივრებს დაუძახებდნენ და მათ აზრს მოისმენდნენ.

კიდევ ერთი საკითხი, საღი აზრის პოზიციებიდან გაუმართლებელი. ეს არის სოჭის ოლიმპიადისთვის ბოიკოტის გამოცხადება. ამ საკითხს საზოგადოებრივმა არხმა მიუძღვნა 9 ოქტომბრის გადაცემა. წამყვანი იყო ეკა მიშველაძე. **ასეთი გადაცემის მოწყობისთვის ეკა მიშველაძემ უნდა დატოვოს სტუდია. მან საშუალება მისცა ერთ-ერთ მონაწილეს (მწერალი და კრიტიკოსიც ყოფილა, ვიღაც დეფი) ემოციებში გადაშვებულიყო, ელანძღა რუსეთი და მათთვის ღორებიც (!) კი ეწოდა,** არ უსმენდა ქალბატონებს, მოროშკინას და ლოსაბერიძეს, რომლებიც უხსნიდნენ ორივე მამაკაცს ბოიკოტის უაზრობას, რომ ეს რუსეთის ღონისძიება არ არის, საერთაშორისო ოლიმპიადის კომიტეტის გადაწყვეტილებით ტარდება, რომ არ უნდა აურიონ სპორტი და პოლიტიკა. მაინც ვერ დაწყნარეს ეს ვაიპატრიოტი (ასეთი საქართველოში საკმაოდაა). საზოგადოების დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ბოიკოტი უაზრობაა და ზიანის მომტანია ჩვენი ქვეყნისათვის. სამწუხაროდ, ამ დეფის ვერაფერი შეასმინეს. ეტყობა მაგრად დაქოქეს ნაციონალებმა. ესეც ერთი მაგალითი ჩვენი ტელეარხების არაპროფესიონალიზმისა და ჟურნალისტური ურაპატრიოტიზმისა.

კიდევ ბევრი რამ ხდება ჩვენს ქვეყანაში, რაც საღ აზრს არ შეესაბამება (მაგ. პრეზიდენტის ბოლო ახირება პრეზიდენტის ბიბლიოთეკის მშენებლობის შესახებ, ან კიდევ მერიის უაზრო ღონისძიებები ქ. თბილისში და სხვ.), მაგრამ ამის შესახებ შემდეგ, რომ არ გადაგღალოთ, მკითხველო.

სამწუხაროდ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსაგვარებელი ქვეყანაში, რაც დიდ ძალისხმევას მოითხოვს. იმედი გვაქვს, რომ ბატონი ბიძინას ხელმძღვანელობით ეს საკითხები მოგვარდება. მთავარია ნაკლებად იყოს გარედან ჩარევა და მეტი დამოუკიდებელი პოლიტიკა გავატაროთ. საკუთარი ხალხის მხარდაჭერა ყველა გარე ძალაზე ძლიერია. მას ეს მხარდაჭერა აქვს.

ბონდო ჩიკვაიძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

● **ბურჯანაძესთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზე გამოჩნდა მისი პრაქტიკულად აღიარებული სურვილი — არ გააკრიტიკოს ან არ დააფიქსიროს თავისი დამოკიდებულება ნინო ბურჯანაძის მიმართ. ეს საკმაოდ ცხადად გამოჩნდა. ის რომ კორექტულობას იჩენდეს ყველა სხვა საპრეზიდენტო კანდიდატის მიმართ, მაშინ პირადად მე ამას გავიგებდი, მივიღებდი და მომეწონებოდა კიდეც. მაგრამ, როდესაც ეს ხდება იმ ფონზე, როცა პრემიერი არ იშურებს გიორგი თარგამაძისა და შალვა ნათელაშვილის შეურაცხყოფას ამ ფონზე, რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვები — რატომ ერიდება პრემიერი ბურჯანაძის ღიად კრიტიკას, გაუგებარია. მე ნამდვილად არ მინდა, ძალიან შორს წავიდე და ამ თემაზე ვისპეკულირო და რაღაც გარიგებებზე ვისაუბრო, მაგრამ ეს რომ ასეა, ფაქტია.**

● **ვინუჟდენი 65 აქვს მარგველაშვილს ასაღები. გაქაჩავს ოცნება ამდენს?**

● **შინაგანი მოთხოვნილება მაქვს ვილაცისტი ვიყო. ბევრი ვიფიქრე და ისევ ზღაპრის გმირის ფანობა ჯობია — ფილთაქვისტებო, წინ, ნიორისკენ!**

● **ვეჭვობ, ობიექტური და ადეკვატური იყოს პრემიერის შეფასება, თითქოსდა უმცირესობაში ვართ ისინი, რომელთათვისაც კოჰაბიტაცია მიუღებელია. საპირისპირო რეალობას კი, ნამდვილად ვხედავ. ვხედავ არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა რეგიონში.**

● **პრემიერის კითხვაზე, — სად ვიყავით ამ 10 წლის მანძილზე, მარტივად ვპასუხობ: ბარიკადებზე! ვებრძოდით სააკაშვილის რეჟიმს! ვუპირისპირდებოდით ტერორსა და ძალადობას. გვარბევდნენ, გვცემდნენ, ვწირავდით საკუთარ შვილებს და ოჯახებს. მიგვაჩნდა და მიგვაჩნია, რომ ეს იყო სწორი, ხოლო ამავე პერიოდში ბევრი სახლში, სამზარეულოში იჯდა და ლიმონიან ჩაის მიირთმევდა.**

ამოკრიბა

გია გაბრიჭიძემ

◎ ინფორმაცია

კომუნისტებს თავიანთი კანდიდატი ჰყავთ

საინიციატივო ჯგუფის სახელით 2013 წლის ოქტომბრის არჩევნებში პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენილია საქართველოს ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ნუგზარ შალვას ძე ავალიანი, ჯგუფმა შეაგროვა მხარდამჭერთა საჭირო რაოდენობის ხელმოწერები და ცესკომ საარჩევნო რეგისტრაციაში გაატარა, ნომერია 20.

გივი ცხოველიძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის ფინანსური „ავანტიურა“

„საზოგადოებრივ მაუწყებელში“ ფინანსური კრიზისია. დღეისთვის მაუწყებელს უკვე გახარჯული აქვს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 31 მილიონ ლარზე მეტი. მენეჯმენტი სესხს ითხოვს. 7-წევრიანი სამეურვეო საბჭო ქმედუუნაროა და სესხის აღებაზე გადაწყვეტილებას ვერ იღებს. სამეურვეო საბჭოს წევრთა ნაწილის ვარაუდით, ნოემბრიდან მაუწყებლის თანამშრომლებს ხელფასის პრობლემა შეექმნებათ, ფინანსური დირექტორი კი განმარტავს, ხელფასი დროულად დარიგდება და კრიზისის დაძლევის გზებიც გამოინახებაო.

რამ გამოიწვია ფინანსური პრობლემები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათეული მილიონობით ლარით დაფინანსებულ „საზოგადოებრივ მაუწყებელში“? ვინ აგებს პასუხს საზოგადოებრივი ფულის არამიზნობრივ ხარჯვასა და მაუწყებლისთვის დიდი ოდენობით ვალის დაგროვების გამო?

კრიზისის სათავეებთან

„საზოგადოებრივ მაუწყებლის“ ფინანსური ისტორია საზოგადოებრივი ფულის ფლანგვის ისტორიაა. მაუწყებლის „ფინანსური ავანტიურა“ კი ჯერ კიდევ პირველი გენერალური დირექტორის პერიოდიდან იწყება.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი გენერალური დირექტორი „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი თამარ კინწურაშვილი იყო, რომელიც დღეს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეა. სწორედ, მის დროს დაინერგა მილიონობით ლარის ვალის აღების „მავნე პრაქტიკა“. For.ge-მ მოიპოვა თამარ კინწურაშვილსა და „საქართველოს ბანკს“ შორის 2007 წლის სექტემბერში საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, რომელშიც სესხის ლიმიტი 15 მილიონი ლარით, სესხის ვადა კი, 20 წლით იყო განსაზღვრული.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მოქმედი ფინანსური დირექტორი კახა სონიშვილი ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ ზუსტ ინფორმაციას არ ფლობს.

„თეორიულად შესაძლებელია ხელშეკრულებაში მითითებული თანხის აღება, მაგრამ საკრედიტო ხაზზე ხელშეკრულების დადება არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ამდენი ლარი გამოიყენეს“, — განმარტავს სონიშვილი.

ფინანსური დირექტორის ინფორმაციით, 2007 წელს კერძო ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტმა დაახლოებით, 2 მილიონ 600 ათასი ლარი გამოიტანა.

2007 წელს „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 17,5 მილიონი ლარი მიიღო. მომდევნო წლებში სახელმწიფო დაფინანსება მნიშვნელოვნად გაიზარდა და 2012 წლისთვის უკვე 32 მილიონამდე ლარით განისაზღვრა — დაფინანსების პროპორციულად, გაიზარდა ვალებიც.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ფინანსური დირექტორის ინფორმაციით, 2008 წელს მაუწყებელმა 2 მილიონ 594 ათასი ლარის საბანკო ვალი აიღო; 2009 წელს — 4 მილიონ 018 ათასი; 2011 წელს 4 მილიონ 692 ათასი. 2012 წელს კი — 3 მილიონი ლარი.

ღირსების ორდენით ნასალისებული ფინანსური დარღვევები

საზოგადოებრივ მაუწყებლის ფინანსური შემოწმება კონტროლის პალატამ პრიორიტეტად ჯერ კიდევ 2009 წელს გამოაცხადა. უწყების მაშინდელი თავმჯდომარე ლევან ბეჟუაშვილი აცხადებდა, რომ კონტროლის პალატის ოთხ პრიორიტეტს შორის მნიშვნელოვანი იმ 70 მილიონი ლარის ხარჯვის კანონიერების შესწავლა იყო, რომელიც „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ბოლო წლებში გახარჯა. კონტროლის პალატამ საკითხი მართლაც შეისწავლა, თუმცა მისი შედეგები ალარ გაუხმაურებია.

ბეჟუაშვილის დროს ჩატარებული აუდიტის მასალებს For.ge დედანში გაეცნო. 12 ტომად აკინძულ საქმის მასალებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების არამიზნობრივი ხარჯვის დამადასტურებელი არაერთი დოკუმენტი მოხვდა. კონტროლის პალატის აუდიტორები საკუთარ დასკვნაში მკაფიოდ წერენ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში გამოვლენილი ფინანსური დარღვევები მენეჯმენტის დაშვებული შეცდომების შედეგია. აუდიტის დასკვნით, მაუწყებლის ხელმძღვანელობამ სახელმწიფო თანხები არამიზნობრივად გახარჯა.

2010 წლის ივნისში ჩატარებულ ფინანსურ შემოწმებას ხელს ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი ილია გოცირიძე აწერს. ფინანსურ დარღვევებზე შექმნილ მრავალტომეულში კონკრეტულ ფაქტებზეა საუბარი.

კონტროლის პალატის აუდიტორთა დასკვნის თანახმად, 2007, 2008 და 2009 წლების ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად არ ასახავენ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. აუდიტორთა მტკიცებით, წლების განმავლობაში „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები შენიშვნას იმსახურებს და კანონმდებლობასთან შეუსაბამოა.

მნიშვნელოვან კანონდარღვევებად კი შემდეგი ფაქტები სახელდება — საზოგადოებრივმა მაუწყებელმა შპს „ავტოსერვისცენტრ+“-თან“ გაფორმებული ხელშეკრულებით 2010 წლის 1 იანვრამდე 180 ათას ლარზე მეტი იზარალა. საუბარია მაუწყებლის მიერ კომპანიაზე ფართის საიჯარო ტარიფზე დაბალ ფასად გაქირავებაზე.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი გენერალური დირექტორი „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი თამარ კინწურაშვილი იყო, რომელიც დღეს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილეა. სწორედ, მის დროს დაინერგა მილიონობით ლარის ვალის აღების „მავნე პრაქტიკა“. For.ge-მ მოიპოვა თამარ კინწურაშვილსა და „საქართველოს ბანკს“ შორის 2007 წლის სექტემბერში საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, რომელშიც სესხის ლიმიტი 15 მილიონი ლარით, სესხის ვადა კი, 20 წლით იყო განსაზღვრული.

მაუწყებელმა ასევე იზარალა „იბერია ავტო მარკეტთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით — რომელიც 18 ავტომანქანის შეძენასა და 3 წლით მოსახურებას ეხებოდა 2-მილიონიანი ხელშეკრულების გაფორმებას კონტროლის პალატა მაუწყებლის სუსტ მენეჯმენტს უკავშირებს. აუდიტორების ვარაუდით, მაუწყებელმა 700 ათას ლარზე მეტი იზარალა, მათ შორის, გაუწეველ მომსახურებაზე ათიათასობით ლარის გადახდით.

აუდიტის პერიოდში მაუწყებელი აქტიურად თანამშრომლობდა „თბს ტვ-სთან“ („პირველი არხის“ ყოფილი ხელმძღვანელის ზაზა შენგელიასა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი დირექტორის ლევან ყუბანეიშვილის კომპანია) აღნიშნული კომპანია კი წლების განმავლობაში არ იხდიდა მის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადს, რაც 2010 წლის დასაწყისისთვის მილიონამდე ლარს შეადგენდა. მაშინ როცა, საზოგადოებრივი მაუწყებელი „თბს ტვ-ს“ სრულად და დროულად უნაზღაურებდა მის მიერ მომზადებული გადაცემების ღირებულებას, მეტიც, ზედმეტ თანხებს ურიცხავდა. ანალოგიურ „სასათბურე“ პირობებში ჰყავდა მაუწყებელს ათი მოიჯარე პირი.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა ფინანსური ანგარიშგების გარე აუდიტის შესამოწმებლად ორი კერძო კომპანია დაიქირავა, რომლებმაც საკუთარ დასკვნებში ფინანსური დარღვევები არ ასახეს. აუდიტორულმა კომპანიებმა — „ბეიკერ ტილი ჯორჯიამ“ და „იუ ბი სი ინთერნეიშენალმა“, შესაბამისად, 117 და 47 ათასი ლარი მიიღეს.

წლების განმავლობაში არ ხორციელდებოდა ინვენტარიზაცია და მაუწყებლის ყოფილი თანამშრომლები ტელევიზიის ავტომანქანებითა და სხვა სახის მატერიალური აქტივებით უკანონოდ სარგებლობდნენ.

გამოვლინდა დუბლირებული მომსახურების შემთხვევებიც — 2008 წლის 1 ივლისს „იუნაიტედ სენს-ს“ — მაუწყებელმა სავაჭრო ნიშნის, ლოგოსა და საეთეროს დიზაინი დაუკვეთა. ანალოგიური ხელშეკრულება კი იმავე კომპანისთან 7 თვის წინ უკვე ჰქონდა გაფორმებული, რითაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 56 ათასი ლარი იზარალა.

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 2008 წლის 1 ივლისს „იუნაიტედ სენს-ს“ — მაუწყებელმა სავაჭრო ნიშნის, ლოგოსა და საეთეროს დიზაინი დაუკვეთა. ანალოგიური ხელშეკრულება კი იმავე კომპანისთან 7 თვის წინ უკვე ჰქონდა გაფორმებული, რითაც საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 56 ათასი ლარი იზარალა.

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ შეიძინა და ეთერში არ გაუშვა დაახლოებით 200 ათასი ლარის ღირებულების 38 გადაცემა. მათ შორის იყო „სიზმარვიზია“; ესპანეთის ფეხბურთის ჩემპიონატის მატჩები და გადაცემა „მოწყვიტე წამი“.

დარღვევების მნიშვნელოვანი ნაწილი გია ჭანტურიას გენერალური დირექტორობის პერიოდზე მოდის. თუმცა, გია ჭანტურიას არასწორი მენეჯმენტის გამო დღემდე არანაირი პასუხისმგებლობა არ დაკისრებია. მეტიც, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში ის „ღირსების ორდენით“ დააჯილდოვეს. ჭანტურიასთვის ღირსების ორდენის გადასაცემად კი 2010 წლის თებერვალში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 600 ლარი გამოიყო.

ბარათაშვილის წინააღმდეგ

ეთერში გაუშვებელი გადაცემების გამო მოქმედი სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელი ემზარ გოგუაძე ჭანტურიას მემკვიდრეს გიორგი ბარათაშვილსაც აკრიტიკებს. გოგუაძის განმარტებით, ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას გადაცემა ეთერში ბარათაშვილმა არ გაუშვა, მაუწყებელს კი ეთერში გაუშვებელი გადაცემა მხოლოდ სახელფასო კუთხით 150 ათას ლარზე მეტი დაუჯდა.

„წელს პირველ და მეორე კვარტალში ტელევიზიაში ოპტიმიზაციის ნაცვლად, შტატების ზრდა დაიწყო. იყო ბევრი არამიზნობრივი ხარჯი, რამაც დირექტორისადმი უნდობლობის გამოცხადება გამოიწვია. პირველ და მეორე კვარტალს შორის სახელფასო ფონდში განსხვავება არის 400 ათასი, რაც საკმაოდ დიდი თანხაა. დაახლოებით 150 ათასი ლარი დაიხარჯა ინგა გრიგოლიას გადაცემისთვის, რომელიც არ შედგა. მენეჯმენტმა ეს თოქშოუ ეთერამდე არ მიიყვანა. ფაქტობრივად, წყალში გადაიყარა თანხა“, — აცხადებს For.ge-სთან საუბრისას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე ემზარ გოგუაძე.

ბრალდებებს უარყოფს საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილი გენერალური დირექტორი. გიორგი ბარათაშვილი აცხადებს, რომ ინგა გრიგოლიას გადაცემა მენეჯმენტს არ დაუბლოკავს და ჟურნალისტი „საზოგადოებრივი მაუწყებლიდან“ საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა.

„ინგა გრიგოლიას ყოველდღიური ეთერი სურდა, ჩვენ კი მასთან მოლაპარაკებული ვიყავით, რომ ეთერი კვირაში ორჯერ ექნებოდა — სხვა ტელევიზიაში უკეთესი პირობების შეთავაზების გამო და საკუთარი განცხადების საფუძველზე წავიდა“, — განმარტავს ბარათაშვილი.

სამეურვეო საბჭოს მიერ თანამდებობიდან ორჯერ გადაყენებული დირექტორი აცხადებს, რომ მისი 9-თვიანი მმართველობის პერიოდში მაუწყებელში ყველაზე ჯანსაღი პროცესები დაიწყო და ტელევიზიამ მიმდინარესთან ერთად ძველი დავალიანებებიც დაფარა.

„წელს პირველად, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა 12 მილიონამდე ლარის ვალი გადაიხადა 32-მილიონიანი ბიუჯეტიდან, დავფარეთ საბანკო კრედიტები, მოვსინით ყადაღა შენობას. მე რომ დავინიშნე დირექტორად, სახელფასო ფონდი იყო 15 მილიონნახევარი ლარი, შესაბამისად, ტელევიზიას ხარჯის სახით სულ 8 მილიონამდე ლარი დარჩა. ჩვენ გავაკეთეთ ისე, რომ საოპერაციო ხარჯი, წინა წელთან შედარებით, 49%-ით შევამცირეთ“, — აცხადებს ბარათაშვილი და აღნიშნავს, რომ თანამდებობიდან მისი პირველად გათავისუფლების შემდეგ დროებითმა მმართველებმა ასზე მეტი კონტრაქტი გააფორმეს და ოპტიმიზაციის პროცესიც ამან შეაფერხა.

მაუწყებლის ვალი

საზოგადოებრივ მაუწყებლის ფინანსური დირექტორის ინფორმაციით, 12 მილიონამდე ვალის გასტუმრების მიუხედავად, „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ საკმაოდ დიდი ვალი რჩება. მხოლოდ საგადასახადო შემოსავლების სამსახურის ვალი 13,5 მილიონს აღწევს, 3,5 მილიონი კი ევროპის მაუწყებელთა კავშირისთვისაა გადასახდელი. მაუწყებელს ასევე ერიცხება სხვადასხვა ტიპის მსხვილი ვალი.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად, „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ წლევანდელთან შედარებით დაფინანსება ეზრდება და უწყება 32-ის ნაცვლად 38 მილიონამდე ლარს მიიღებს.

მადლენა მაჭარაშვილი

P. S. ახალი ბიუჯეტის დამტკიცებამდე საზოგადოებრივი მაუწყებლი გარანტირებულ შემოსავალს ჯართის გაყიდვით მიიღებს. 25 ოქტომბრისთვის დანიშნულ აუქციონზე 19,5 ტონა რკინა, 146 კილოგრამი ალუმინი და 31 კილოგრამამდე სპილენძის სადენები გაიყიდება. კუთვნილი ჯართიდან მაუწყებლის ბიუჯეტი, დაახლოებით, 5 ათასი ლარით შეივსება. 5 ათასი ლარი კი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის ერთი თვის ხელფასსაც ვერ დაფარავს — მაუწყებლის ხელმძღვანელი პირები საზოგადოებრივი სალაროდან უფრო მსუყედ ფინანსდებიან.

მ. მ.



დღესაც რჩეული ერთგულებით

ილია კეჭაყმაძე – 85

ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ღირსეულ წარმომადგენელს გულწრფელი სიყვარულით ვულოცავთ ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსშესანიშნავ თარიღს – დაბადებიდან 85 წლისთავს. ფსიქოლოგიის აკადემიური დოქტორის **ილია კეჭაყმაძის** მოღვაწეობის წლები ნაყოფიერი სამეცნიერო და აქტიური პედაგოგიური მოღვაწეობის წლებია. იგი დღესაც ჩვეული ერთგულებით, ენერგიულად ემსახურება საყვარელ საქმეს და თავისი წვლილი შეაქვს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური ცოდნის განვითარებაში.

იგი დაიბადა 1929 წელს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ნაღობილევში. 1947 წელს დაამთავრა მერიის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა ი. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის სპეციალობით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, 1952 წლის სექტემბერში ი. კეჭაყმაძე განაწილებით მუშაობას იწყებს აჭარისწყლის პედაგოგიურ სასწავლებელში ფსიქოლოგიის, ლოგიკის, პედაგოგიკის მასწავლებლად.

1953 წლის სექტემბერში ი. კეჭაყმაძე მუშაობას იწყებს ბათუმის ვაჟთა №1, №6, და ქალთა №4 და №9 საშუალო სკოლებში ფსიქოლოგიისა და ლოგიკის მასწავლებლად. 1947 წლიდან შეთავსებით ასწავლის ბავშვის ფსიქოლოგიასა და სკოლამდელთა პედაგოგიკას ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში.

1956 წლის 16 მაისიდან ინიშნება შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის უფროს ლაბორანტად. 1959 წლიდან არის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის (1990 წლიდან ფსიქოლოგიის) კათედრის მასწავლებელი, უფროსი მასწავლებელი და დოცენტი. ხელმძღვანელობს პედაგოგიურ პრაქტიკას სკოლებში და საბავშვო ბაღებში, ეხმარება სტუდენტებს საკურსო ნაშრომების შესრულებაში, ამზადებს სტუდენტებს სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის, არის კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის მეცნიერ-ხელმძღვანელი.

ილია კეჭაყმაძე სტუდენტობის წლებიდან გამოირჩეოდა განსაკუთრებული მონდომებით და ინტერესით. პირველი მეცნიერული ნაშრომი მან შეასრულა ზოოფსიქოლოგიაში - „ინსტინქტების შესახებ“, ხოლო მომდევნო კვლევა ეხებოდა სიმძიმის გავლენას სიდიდის ტაქტილურ აღქმაზე. თეზისები დაიბეჭდა თსუ-ის სტუდენტთა კონფერენციის მასალებში 1952 წელს. 1959 წლიდან პედაგოგიურ ინსტიტუტში მუშაობისას სისტემატიურად ასრულებდა წლიურ სამეცნიერო-კვლევით ნაშრომებს, რომლებიც ეხებოდა ჯერ დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა მიერ ტექნიკური ცნების დაუფლების საკითხებს, ხოლო 1960-70-იან წლებში ექვსწლიანების სასკოლო სწავლებისთვის ფსიქოლოგიური მზაობის საკითხებს. კვლევის მასალები იბეჭდებოდა პერიოდულ პედაგოგიურ ჟურნალებში და გაზეთებში, ხოლო კვლევის საბოლოო შედეგები შეჯამებული იყო ორ ნაშრომში: 1) ექვსწლიანების სწავლება საზღვარგარეთის ქვეყნებში და საბჭოთა კავშირში. ნაშრომში განხილულია საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია ექვსწლიანი ბავშვების სასკოლო სწავლება, როგორ წყდება ეს საკითხი საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში; მოტანილია ამ საკითხზე მრავალი გამოჩენილი მეცნიერისა და პედაგოგის მოსაზრება. ავტორი აღნიშნავს, რომ თანამედროვე მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში სასკოლო სწავლების საწყის ასაკად დადგენილია 5-6 წელი და აშკარად შეინიშნება ამ ასაკის შემცირების ტენდენცია. 2) ფსიქო-ფიზიკური განვითარების აქსელერაცია და ექვსწლიანი ბავშვის სასკოლო სწავლების შესაძლებლობის ზოგიერთი საკითხი. მოცემულია ამ საკითხებზე არსებული შეხედულებებისა და ლიტერატურის მიმოხილვა, ავტორისეული ექსპერიმენტებისა და დაკვირვების შედეგად დაგროვილი მასალების ანალიზი. ავტორის მიერ შესწავლილი იყო ექვსწლიანების სკოლისადმი, სწავლისადმი დამოკიდებულების საკითხი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა დადებით ემოციურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, ხალისით მიდიან სკოლაში, ინტერესით ეკიდებიან სწავლას. გამოკითხული მასწავლებლებისა და მშობლების უმრავლესობა დადებით შეფასებას აძლევს ექვსწლიანების სკოლაში სწავლებას და თანაც მიუთითებს მუშაობის ზოგიერთ ნაკლზე.

ნაშრომში აღინიშნება, რომ სკოლამდელთა ემოციურ-ნებელობითი ძალების განვითარებისა და მომწიფებისთვის, სასკოლო ცხოვრებისთვის უკეთ მომზადებისათვის უნდა გაუმჯობესდეს მათი შრომითი აღზრდა. ინტელექტუალური აღზრდა (განსაკუთრებით ოჯახში) სტიქიურ ხასიათს ატარებს. მოზარდების ფსიქიკაზე ინფორმაციის უზარმაზარი მასა ზემოქმედებს ყოველგვარი დოზირებისა და რეგლამენტაციის გარეშე, რაც მოგვარებას საჭიროებს.

ნაშრომში მითითებულია, რომ ექვსწლიანების სასწავლო ჯგუფებში მოსწავლეთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 30-ს. მათთან სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა დასაწყისში უნდა მიმდინარეობდეს თამაშის ფორმით. ექვსწლიანების სასკოლო სწავლების წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა დროულად შემუშავდეს მოზარდის სკოლისათვის მზაობის კომპლექსური დიაგნოსტიკური მეთოდი ფსიქოლოგების, ფიზიოლოგების, ექიმებისა და პედაგოგების ერთობლივი მონაწილეობით. საჭიროა შეიქმნას ერთიანი ცენტრი სკოლისათვის მზაობის, მათი სწავლების და ხუთწლიანების სკოლისათვის მომზადების საკითხების შესასწავლად. ექვსწლიანების სასკოლო სწავლების განხორციელებისთანავე უნდა მოწესრიგდეს 5-6-წლიანების სკოლისათვის მომზადების საკითხი, რაც აუცილებლად საბავშვო ბაღმა უნდა იკისროს, ხოლო ამ უკანასკნელთა სიმცირის გამო დროებით სკოლამ - ზაფხულის დღეებში. ჩვენს ქვეყანაში ექვსწლიანების სწავლებისა და აღზრდის პროცესის სწორად წარმართვისათვის საჭიროა საზღვარგარეთის სკოლებში ექვსწლიანებთან მუშაობის გამოცდილების გაცნობა, მათი დადებითი, ჩვენთვის ვარგისი პროგრესული მხარეების გაზიარება - დანერგვა.

ი. კეჭაყმაძე აღნიშნავს, რომ ადამიანის ფსიქო-ფიზიკური აქსელერაციის ფაქტის გარდა, სასკოლო სწავლების ადრეულ ასაკში დაწყება, ბევრ პრობლემას აყენებს თანამედროვე კაცობრიობის წინაშე. სქესობრივი მომწიფების დაჩქარებას თან მოჰყვება 15-16 წლიანების კანონგარეშე ქორწინების გახშირება, ხოლო ფიზიკური და ინტელექტუალური განვითარების აქსელერაციას - უზედამხედველო და ძნელად აღსაზრდელ მცირეწლოვანთა შორის სისხლის სამართლის დანაშაულის ზრდა, რაც იურისპრუდენციისგან მოითხოვს საქორწინო და სისხლის სამართლის კოდექსის გადასინჯვას.

ახლებურად უნდა დამუშავდეს სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის მეთოდები. აღნიშნული მოვლენა ჯერ კიდევ რჩება სოციალური, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამედიცინო, ეკონომიური, იურიდიული და სხვა მეცნიერებების კომპლექსური შესწავლის საგნად.

ნაშრომი წარდგენილი იყო თსუ-ს ფსიქოლოგიის კათედრაზე და ავტორის მიერ დაცული იქნა დისერტაცია ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

1980-90-იან წლებში ი. კეჭაყმაძის კვლევის ობიექტი გახდა სახალხო განათლების სისტემაში ფსიქოლოგიური სამსახურის ისტორიის, მდგომარეობისა და პერსპექტივის შესახებ არსებული მდგომარეობა. მასალები ამ თემების ირგვლივ გამოქვეყნდა რესპუბლიკის პედაგოგიურ ჟურნალში, ფსიქოლოგიური კვლევის მასალებში და გაზეთებში.

ი. კეჭაყმაძეს გამოქვეყნებული აქვს მასალები ქართული ფსიქოლოგიის ისტორიიდან პროფესორ ბარნაბ ხაჭაპურიძისა და დოცენტ აგია ართილაყვას სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის და მათი პიროვნების ფსიქოლოგიური დახასიათების შესახებ. უახლოესი ნაშრომი მიძღვნილია დიმიტრი უზნაძის ფსიქოლოგთა საერთაშორისო კონგრესებში მონაწილეობის საკითხისადმი.

ილია კეჭაყმაძე ასევე მუშაობს სკოლის ფსიქოლოგიური სამსახურის საკითხებზე, მისი მეცნიერული და პედაგოგიური გამოცდილების ამსახველი მასალები ხშირად დაბეჭდილა როგორც ადგილობრივ, ასევე რესპუბლიკის და მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებში. ის მუშაობდა ბათუმის პროფილური გიმნაზიის პრაქტიკოს ფსიქოლოგად. მრავალი წლის განმავლობაში იყო ფსიქოლოგიის კათედრის გამგის მოადგილე საზოგადოებრივ საწყისებზე, იყო კათედრის გამგის მოვალეობის შემსრულებელი, ხშირად ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებებს, იყო პროფკავშირულ თანამდებობებზე, აქტიურად მონაწილეობდა აჭარის განათლების სამინისტროს მედიკო-პედაგოგიური კომისიის მუშაობაში.

გამორჩეულ მეცნიერ-ფსიქოლოგს ოჯახიც გამორჩეული ჰყავს. ბატონ ილიას ქალიშვილი – რუსუდან კეჭაყმაძე მუშაობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად და ღირსეულად მიჰყვება მამის კვალს.

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ თქვენს ღვაწლს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. თქვენი მოღვაწეობა ჩვენთვის განსაკუთრებული პატივი და ღირსებაა.

ბატონო ილია, გულითადად გილოცავთ 85 წლის იუბილეს! გისურვებთ მხნეობას, ჩვეულ შემართებას უნივერსიტეტის, ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი

◎ ალიან-ჩალიანი

პროკურატურამ საზოგადოების მაქსიმალური ნდობა და ავტორიტეტი უნდა მოიპოვოს

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა სასტუმრო „რედისონში“ განაცხადა, სადაც პროკურატურამ სამომავლო გეგმების და ძირითადი პრიორიტეტების შესახებ პრეზენტაცია გამართა.

როგორც ივანიშვილმა განმარტა, ამისთვის ახალი ხელისუფლება უკვე ერთი წელია, მნიშვნელოვან რეფორმებს ახორციელებს.

— კანონიერება და სამართლიანობა არის სახელმწიფოს ერთ-ერთი ქვაკუთხედი და პროკურატურას ამ პროცესში საკვანძო როლი უჭირავს. შესაბამისად, მან უნდა მოახერხოს საკუთარი ავტორიტეტისა და სანდოობის ამაღლება, დაიმსახუროს საზოგადოების მაქსიმალური ნდობა. ამ მიმართულებით, ჩვენ კარგი რეფორმები განვახორციელეთ და პროკურატურა დღეს გაცილებით დამოუკიდებელია, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს. კარგად ვიცით, როგორი მძიმე წარსული დაგვხვდა. გასაგებია, რომ დღეს მკაცრი მოთხოვნებია პროკურატურის მიმართ. რა თქმა უნდა, უნდა მოხდეს თანამშრომლების შეცვლა, მაგრამ ეს არ არის იმდენად მნიშვნელოვანი, რამდენადაც ის, რომ პროკურატურის ხელმძღვანელებმა დამოკიდებულება შეიცვალონ, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მისივე განმარტებით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა პროკურატურამ საიმედოობის იმიჯი დაიმკვიდროს.

პროკურატურის საკადრო პერსონალი 33%-ით განახლდა

ამის შესახებ მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა სასტუმრო „რედისონში“ განაცხადა, სადაც უწყების სამომავლო გეგმებისა და გამოწვევების შესახებ პრეზენტაცია მიმდინარეობს.

როგორც კბილაშვილმა აღნიშნა, 33% შეეხება ყველა მმართველობითი რგოლის პროკურორების გადახალისებას.

— აქედან გამომდინარე, ხარისხობრივად ეს ცვლილება აღემატება დარჩენილ 67%-ის უცვლელობას, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

რაც შეეხება სამომავლოდ დაგეგმილ საკადრო ცვლილებებს, მთავარი პროკურორის თქმით, მათი მიზანია საკადრო პოლიტიკა განხორციელდეს პროფესიული და აკადემიური დონის მომზადების ხარჯზე და არა სხვა რაიმე ნიშნით.

— ეს ჩვენ მოგვცემს საშუალებას, სისტემამ იმუშაოს მშვიდად, — დასძინა კბილაშვილმა.

ლაფანყურის საქმე დაიძრა

ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოსაძიებლად საზოგადოებრივი კომისია მომავალ კვირას შეიქმნება, — ამის შესახებ სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა თბილისის საკრებულოში განუცხადა. უჩა ნანუაშვილის თქმით, მომავალ კვირას გამოცხადდება კომისიის შემადგენლობა, ჩატარდება სხდომა და დაიწყება მუშაობა იმისთვის, რომ სპეცოპერაციასთან დაკავშირებულ კითხვებს რეალურად გაეცეს პასუხი. მისივე განცხადებით, კომისიის წევრთა სია, სავარაუდოდ, ცნობილია, თუმცა, ოფიციალურად სია მომავალ კვირას გამოქვეყნდება. მის შემადგენლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ექსპერტები, პანკისის უხუცესთა თემის წარმომადგენლები შევლენ, ანუ ის პირები, რომლებსაც ამ თემასთან აქვთ შეხება.

სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ ლაფანყურის სპეცოპერაციის ფაქტების დადგენა საკმაოდ რთული სამუშაოა. ნანუაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ეფექტური მუშაობის შემდეგ, შეძლებენ შეისწავლონ საკითხები, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციის სრული სურათის წარმოდგენაში დაეხმარებათ. ამ მოკვლევის შედეგად მიღებულ მასალებს კი, შემდეგ პროკურატურას გამოსაძიებლად გადასცემენ.

ინტერპრესი

ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №209

„დიდი აფეთქება“ ფილოსოფიური ხედვით

მსოფლიო ფილოსოფიური კონგრესი იმართება ხუთ წელიწადში ერთხელ და მეტად მნიშვნელოვან ყველასთვის საყოველთაო კულტურულ მოვლენად განიხილება.

წელს, ათენში, (აგვისტო 4-10) ფილოსოფიის მსოფლიო კონგრესზე, სადაც წარმოდგენილი იყო მეცნიერების უამრავი დარგის ფილოსოფიური განაზრებანი (რელიგია, კოსმოლოგია, ფიზიკა, მათემატიკა, სიცოცხლის მეცნიერებანი, მედიცინა, ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, ხელოვნება, ლიტერატურა, პოლიტიკა, სოციოლოგია, ისტორია...) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იყო თანამედროვე თვალსაზრისი კოსმოსისა და სამყაროს წარმოშობის შესახებ. ამ საერთაშორისო სიმპოზიუმზე მონაწილეობდა ქართველი მეცნიერი, ფილოსოფოსი მამუკა დოლიძე, ვიმი მოხსენებაც ეძღვნებოდა ე.წ. „დიდი აფეთქების“ თეორიის კრიტიკას. ეს ცნობილი თეორია ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკელი ფიზიკოსების მიერ (სლაიფერი 1913, ედვინ ჰაბლი 1929-1930, გამოვი 1940, ლემეტრი...). მათი აზრით, წითელი ფერის გადახრა კოსმიური სხივების სპექტრში მეტყველებს იმის შესახებ, რომ გალაქტიკებს შორის მანძილი განუწყვეტლივ იზრდება, რაც სავარაუდოდ არის ოდესღაც მომხდარი ვარსკვლავთა ზემკვრივი მასის აფეთქების შედეგი. ამ აფეთქებით მიეცა დასაბამი სამყაროს არსებობას, შეიქმნა დრო და სივრცე და კრისტალიზაცია განიცადეს ვარსკვლავთა სისტემებმა. აფეთქების ტალღა დღესაც ვრცელდება, რის გამოც უნივერსუმი სულ მუდამ ფართოვდება.

ბატონი მამუკა განმარტავს, რომ მის მიერ ამ თეორიის კრიტიკა ზოგადად სამყაროს წარმოშობის ბიბლიურ მოძღვრებას ემყარება, უფრო კონკრეტულად კი ჩვენ ვიყენებთ იდეის (არსებობის საზრისის) ქმნადობის მოდელს, რომელიც დავსახეთ მიკროსამყაროში, კვანტური ფიზიკის პრობლემათა კვლევის საფუძველზე.აღნიშნული მოდელის კოსმოსზე გავრცელება საშუალებას გვაძლევს ავხსნათ გალაქტიკების ურთიერთდაშორება დიდი აფეთქების თეორიის გარეშე. სამყაროს გაფართოება არის არა აფეთქების შედეგი, არამედ უნივერსუმში იდეის რეალიზაციის პროცესი. ვარსკვლავთა სისტემა სწორედ გალაქტიკებს შორის არსებული დისტანციის ცვალებადობით მნიშვნელობს როგორც ტალღა და კვანტური დუალიზმის თანახმად იძენს და ინარჩუნებს ეგზისტენციალურ (ფიზიკური არსებობის) საზრისს.

ასეთია ზოგადად ჩვენი ფილოსოფიური პოზიცია, რომელიც ეხმაურება სამყაროს ქმნადობის ბიბლიურ თვალსაზრისს და მას მსოფლიო კონგრესზე არაერთმა ფილოსოფოსმა დაუჭირა მხარი.

* * *

გთავაზობთ ამონარიდებს გ-ნ **მამუკა დოლიძის საუბრებიდან:**

ზესთა სამყაროს წარმოდგენა მხოლოდ ფიზიკური რეალობის სახით აშკარად აფერმკრთალებს იმ ფსიქო-ემოციურ შინაარსს, რასაც კოსმოსი შეიძენს ადამიანის მიმართ. ვარსკლავებით მოჭედილი ცა არის ჩემი შთაგონების, ჩემი სულიერი შემოქმედების წყარო. დაუშრეტელია ეს შემოქმედებითი ენერგია, რადგან კოსმოსი, როგორც ციურ სხეულთა ნათლით მოსილი მთლიანობა ღიაა პირველყოფილი, უსასრულო ქაოსის წინაშე. მაგრამ ქაოსში დრო და სივრცე ვერ განიცდის ობიექტივაციას. ქაოსის სრული გაურკვევლობა და ინდეტერმინიზმი საფუძველს ვერ ქმნის მიზეზობრივად ჩამოყალიბდეს მანძილისა და ხანგძლივობის საზომი ინტერვალი, რათა სივრცე-დრომ შეიძინოს ფიზიკური აზრი.

მეორე მხრივ, სამყაროს ბიბლიური გენეზისი გვიჩვენებს, რომ პირველყოფილი, ზე-სივრცე-დროული ქაოსი არ არის აზრს მოკლებული წყვდიადი. იგი გაჟღენთილია აზრისეული სიცხადით. ღვთის სიტყვა, რომელიც იყო უწინარეს საუკუნეთა, შეიძლება გავიგოთ როგორც ქაოსის ფარული ინტენციონალობა კოსმოსის მიმართ. ამ საწყისი მიზანმიმართების შედეგად, უწესრიგობიდან, გრავიტაციული კრისტალიზაციის შედეგად ჩნდება ციურ სხეულთა მოწესრიგებული სისტემა – კოსმოსი. კოსმიური წესრიგის არსობრივ ნიშნად მიგვაჩნია ის, რომ ვარსკვლავთა სფერო გაშლილია დროსა და სივრცეში და პოტენციურად წარმოადგენს ციურ სხეულთა თვითრეფლექსირებად სისტემას. რეფლექსიის სწორედ ამ შესაძლებლობის განხორციელებას წარმოადგენს მატერიის არაორგანული სტიქიიდან ორგანული ბუნების აღმოცენება, ბუნებაში სიცოცხლის გაჩენა და მისი განვითარება ადამიანის ცნობიერების დონეზე. ცნობიერების რეალიზაცია სულაც არ არის შემთხვევითი მოვლენა სამყაროში. ცნობიერება, როგორც უზენაესი წესრიგის თვითრეფლექსიის ფაქტი, სიცოცხლისა და ადამიანის პირველსახეზე, აბსოლუტურ გონზე მიუთითებს. სიტყვის ინტენციონალობით არის გაჟღენთილი ზესთა სამყარო. ღვთის ცოცხალი სიტყვა არის ის საზრისული მოძრაობა, რომელიც ადამიანის ლოგიკური აზროვნების პარალელურად ქმნის კოსმოსის გეომეტრიულ სტრუქტურას.

ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ მეგა-ფიზიკური სამყარო ღიაა იდეათა სფეროსა და საზრისთა წარმოშობის ფენომენოლოგიური განზომილების მიმართ. ოღონდ, აქ ორ განსხვავებულ, – ეგზისტენციალურ და ტრანსცენდენტალურ განზომილებებზეა ლაპარაკი. სამყაროში იდეაციის აქტი და ფიზიკური რეალობა ისევე განესხვავება ერთმანეთს, როგორც ზებუნებრივი სასწაული (რომელშიც ღვთაებრივი აზრი ხორციელდება) განსხვავდება ბუნებრივი მოვლენებისგან.

კოსმოლოგიის ასეთი ფენომენოლოგიური ინტერპრეტაცია კრიტიკულ განწყობას ქმნის **„დიდი აფეთქების“** თეორიის მიმართ, რომელიც სამყაროს წარმოშობას შეეხება ზემკვრივი „შავი ხვრელის“ აფეთქება არ შეიძლება მივიჩნიოთ ყოველივე არსებულის საწყისად. გალაქტიკების ურთიერთდაშორებას და კოსმოსის გაფართოებას შეიძლება მოეძებნოს სხვაგვარი ახსნა, თუკი ჩავთვლით, რომ არსებობს გარკვეული ანალოგია ატომის მიკროსამყაროსა და კოსმიურ რეალობას შორის.

ფენომენოლოგია მოითხოვს ობიექტის არსებობიდან განყენებას მისი არსის (საზრისის) წვდომის მიზნით. ეს ნიშნავს, რომ საგნის არსი და არსებობა ორ განსხვავებულ (ერთმანეთის გამომრიცხავ) შემეცნებით სიტუაციაში ფიქსირდება.

თუკი დავუშვებთ, რომ არსებობს ანალოგია მიკროსამყაროსა და მეგასფეროს შორის, მაშინ ტალღურ-კორპუსკულარული დუალიზმის ფენომენოლოგია შეიძლება გავავრცელოთ კოსმოსზეც. ვარსკვლავთა სამყარო დროსა და სივრცეში ლოკალიზებულ, ციურ სხეულთა სისტემაა, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური აზრის წარმოშობის ფენომენოლოგიურ პროცესთან. სწორედ ეს პროცესი მოითხოვს ვარსკვლავთა კორპუსკულარული სისტემის ტალღურ გაშლას და გაფართოებას. არსისა და არსებობის დუალიზმი ცხადჰყოფს, რომ ვარსკვლავთა არსებობა ფიქსირდება ლოკალურ ციურ სხეულთა სახით, მაგრამ ეს დისკრეტული სისტემა ვერ შეიძენს არსისეულ საზრისს, თუკი არ მოიქცა როგორც ტალღა. ვარსკვლავთა სისტემის ტალღური ქცევა კი მის უწყვეტ და უსასრულო გაფართოებას ნიშნავს სივრცეში. გალაქტიკების ურთიერთდაშორების ფაქტი, დადგენილი კოსმიური სხივების ანალიზის საფუძველზე, სწორედ ამ ტალღურ-საზრისული მოძრაობით შეიძლება აიხსნას. ეს არის სამყაროს უწყვეტი გაფართოების ახსნა ფენომენოლოგიური მიდგომის საფუძველზე, კვანტურ ფიზიკასთან ანალოგიის გზით, „დიდი აფეთქების“ თეორიის გარეშე.

თუ გავიხსენებთ ფილოსოფიის ისტორიას, სამყარო შეიძლება წარმოვიდგინოთ ჰერაკლიტეს მდინარის სახით, რომელშიც დროის ინტენციონალობის გამო, მხოლოდ ერთხელ შეიძლება შესვლა. დრო, რომელიც სულ მუდამ მოძრაობს წარსულიდან მომავლისაკენ ჰარმონიაშია ღვთაებრივ სიტყვასთან - საზრისთა ქმნადობის და ფიზიკური კრისტალიზაციის პროცესთან, რაც განაპირობებს ქაოსიდან კოსმოსის შექმნას, კოსმოსში სიცოცხლის გაჩენას, სიცოცხლის განვითარებას ადამიანის ცნობიერებისკენ, ცნობიერების სრულყოფას სოციუმში და მის შემდგომ წიაღსვლას უსასრულო ტელოსის მიმართ.

ამიტომ კოსმოსი არ ამოიწურება მხოლოდ ობიექტური რეალობით და დაკავშირებულია სიცოცხლის წარმოშობის სუბიექტურ ძალებთან, რომლებიც ქმნიან დროის საზრისს. ეს სუბიექტური პროცესი მოიცავს მთელ სამყაროს. გალაქტიკების გაფართოებას და განუზღვრელობას პოზიტიური მნიშვნელობა აქვს. იგი ავლენს კოსმოსის ღიაობას პირველყოფილი ქაოსის წინაშე და განსაზღვრავს ადამიანის შემოქმედებით განვითარებას სამყაროს მარადიულ სიცოცხლეში.

ფოტოპარალელები

ჩვენს წინაშეა ორი რეალობა სხვადასხვა დროსა და სივრცეში. „რუსული ჩექმის“ კვალი ბერლინის კედელთან და საქართველოში, სოფელ დვანში.

მარტვილის შემოდგომის პასტორალი

ეპისკოპოსი გრიგოლ დადიანი

„ეს იყო შემოდგომის თბილი, თვისი განწყობით და შინაარსით დაუვიწყარი, ემოციებით სავსე დღე და რაც მთავარია, ჩემში სრულიად ახლებურად გაიხსნა საკუთარი წინაპრების სამყარო, რომელთანაც დრო კი არ გვაშორებს,არამედ გვაახლოებს"... – ამბობს მია ღვინიაშვილი, ქართული არისტოკრატიის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანის – ბაბო დადიანის შვილიშვილი, რომელიც შთაბეჭდილებებით აღვსილი დაბრუნდა სამეგრელოდან.

12 ოქტომბერს ჭყონდიდის ეპარქიაში, მარტვილში, გურია-სამეგრელოს პირველი ეპისკოპოსის **გრიგოლ დადიანის** გარდაცვალების თარიღი აღინიშნა. მეუფე გრიგოლი ქალბატონ ბაბო დადიანის წინაპარია (ბაბუის ძმა). თუკი მისსავე დღიურის ჩანაწერებსაც დავიმოწმებთ, არაერთხელ მოულოცნია ეს ადგილები, ტაძრის ეზოში საფლავები თუ ინტერიერის სამხრეთ ნაწილში მეუფე გრიგოლ დადიანის მუდამ ყვავილებით შემკული სამარე..

„ყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლი ქართველებში უპირველეს მღვდელმთავრად უნდა ჩაითვალოს. იგი არის დიდად ნაშრომი, ჩვენი ერისა და ქვეყნის გულშემატკივარი.მისი ქადაგებები ყოველთვის გრწყინავდნენ – განმარტავდა ეპისკოპოსი **ალექსანდრე ოქროპირიძე** მაშინ, როცა მეუფე უკვე მძიმედ ავად გახდა და მისი ქადაგებების მომლოდინე მრევლი შეშფოთებული ელოდა მღვდელმთავრის დაბრუნებას. – ჩემს ყურს დღესაც ახსოვსო მისი მადლიანი სიტყვები. იგი დიდი ოჯახის შვილი ბრძანდება – დადიანების. ჩვენ, ქართველთ ასეთი გვარის მღვდელმთავარნი პატივით უნდა გვყავდეს დაჯილდოებული,მაგრამ ხშირად ფასი არ ვიცით.ღმერთმა აცოცხლოს ყოვლად სამღვდელო გრიგოლი.მისი მამულიშვილობა არ მოგვაკლოს ღმერთმა და მის სამშობლოში კიდევ გაგვაგონოს მშვენიერი ენით ძვირფასი ქართული ქადაგებანი. ღმერთმა მშვიდობით ამყოფოს და ჯანით და ღონით ფეხზე დააყენოს."

...მაგრამ მეუფე გრიგოლს საკურთხეველთან მისვლა აღარ ეწერა. დაღლილი და შეიძლება ითქვას, მავანთაგან შეურაცხყოფილი, 1852 წლის 12 ოქტომბერს გადავიდა მარადიულ სასუფეველში... გრიგოლ დადიანის სახელთანაა დაკავშირებული მეგრელიზაციის ცნობილი პროცესის შეჩერება, როცა რუსეთის მეფის მოხელეთა ძალისხმევით, წირვა-ლოცვა მეგრულ ენაზე უნდა ჩატარებულიყო. მეუფე გრიგოლის დიპლომატია და არგუმენტაციის უნარი იყო ის იარაღი, რამაც ეს დამანგრეველი გეგმა ჩანასახშივე გააუვნებელყო.

გავა დრო და **აკაკი წერეთელი** გაზეთში **„მწყემსი"** ძალიან საგულისხმო წერილს გამოაქვეყნებს საპასუხოდ ერთი კორესპონდენტისა, რომელმაც ეპისკოპოს გრიგოლის ხსოვნის შეურაცხყოფა სცადა.

– მე ჩემის მხრივ ვიტყვიო – ამბობს აკაკი **– ის იყო კარგი ქართველი, რაც იშვიათია დღეს ჩვენში.**

საინტერესოა აკაკის დამოკიდებულება მოარულ ფრაზასთან: „მიცვალებულზე ან კარგს ამბობენ ან სულ არაფერს".

– ცოტა არ იყოს ეს ანდაზა იეზუტურიაო, – ამბობს მგოსანი და იქვე აგრძელებს – გარდაცვლილს იმიტომ არ იხსენებენ, რომ იმას რამე შეასმინონ, არამედ ცოცხლების გასაგონად ამბობენ, რასაც ამბობენ, რომ კარგი კარგ სახელმძღვანელოდ დაუდვან და ცუდი თავიდან აიცდინონ. ჩვენში იმდენად გაფუჭებულია ჰაერი, რომ ერთმანეთის კიცხვა- გინება საზოგადო სენად არის გადაქცეული. ქრისტე ღმერთი რომ ჩამობრძანდეს იმაზედაც ბევრ რამეს ცუდს იტყვიან. განსვენებულ გრიგოლ ეპისკოპოსზე თქმულიყოს, აბა, რა გასაკვირია?.. მიუხედავად დიდი ჯამაგირისა, განსვენებული გრიგოლი ყოველთვის უფულოდ იყო და ღარიბადაც მოკვდა! რითი უნდა აიხსნას ეს? მითი, რომ ის იყო დიდი, საიდუმლოდ ქველმოქმედი კაცი და სხვათაშორის, მისი ხარჯით ბევრი იზრდებოდა სხვადასხვა სასწავლებლებში. ამ წერილს არ დავწერდი,რომ ერთ მათგანს მაინც ხმა ამოეღო, მაგრამ ყველა გაჩუმდა და ყველამ ქვა და გუნდა მიაყარა ქვეყნის მოკეთეს!"

* * *

„ცხოვრება და ღვაწლი გურია-სამეგრელოს ყოვლადსამღვდელო გრიგოლისა" – გახლავთ მონოგრაფიის სათაური, რომელიც წლების მანძილზე, სხვადასხვა არქივებზე დაყრდნობით, შეადგინა სიძველეთა მკვლევარმა, გიორგი შერვაშიძის პრემიის ლაურეატმა **პაატა ქურდოვანიძემ.** ბატონი პაატა გახლდათ ორგანიზატორი და წამყვანი ინჩხურის ამბროსი ხელაიას სახელობის კულტურის ცენტრში გამართული ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიციისა.

უაღრესად შთამბეჭდავი იყო ეპისკოპოს გრიგოლ დადიანის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, რომელიც მარტვილის ტაძარში **ჭყონდიდელმა ეპისკოპოსმა, მიტროპოლიტმა მეუფე პეტრემ გადაიხადა.** მისსავე ღვაწლთან არის დაკავშირებული ის არაჩვეულებრივი გარემო ეპარქიაში; ქრისტიანული ძეგლების, რელიკვიების, სიწმინდეების სხვადასხვა ფორმით ჩვენება და განმარტება; სიძველეების დაცვა და მათი მნიშვნელობის დიდი გემოვნებით გადმოტანა თანამედროვე სივრცეში ისე,რომ წარსულის სურნელი და საუკუნეების ანაბეჭდი შენარჩუნდეს.

ასევე შთამბეჭდავი იყო იქაურ სასულიერო პირთა დამოკიდებულების გამოხატვაც წინაპარი მღვდელმთავრისადმი, მრევლიც, (მათ შორის ახალგაზრდები), სულიერებასთან მიახლოვების სურვილით...

„მიგვაჩნია,რომ გრიგოლ ეპისკოპოსის აღმოჩენა, გაცნობა, მასთან და დაახლოება დიდი წყალობაა, სულიერი ძალის მომნიჭებელია თითოეული ჩვენთაგანისათვის." (მეუფე პეტრე, მიტროპოლიტ-ჭყონდიდელი).

* * *

იმავე დღეს მიეძღვნა გაზეთ **„აბაშის მაცნის"** სპეციალური ნომერი, სახელწოდებით **„მეუფე გრიგოლ დადიანი".** ნომრის ავტორი **პაატა ქურდოვანიძე** ამ მასალების პუბლიკაციაში თანადგომისთვის მადლობას უცხადებს ყველა იმ პერსონალს, ვინც დაეხმარა. მათ შორის: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით თოფურიას, ინჩხურის ამბროს ხელაიას სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორს გიორგი სარიას (ვისი სიღრმისეული ნაშრომიც ამშვენებს ნომერს), პოეტ მილდა ჩაგანავას (გაზეთში გამოქვეყნებული სამი ლექსის ავტორს), ქალბატონებს ირა თოფურიას, დინარ გვაზავას, მაკა ჩაგანავას...

დასასრულს გთავაზობთ ქ. აბაშის ღვთისმშობლის შობის და გულეიკარის წმ. გიორგის ეკლესიების მოძღვარის დეკანოზ მამა კონსტანტინე (კაჭარავას) წერილიდან ამონარიდს:

„ვისაც ჩვენამდე ქრისტეს გზაზე უვლია და ჩვენამდე მოუტანია ძვირფასი საგანძური, მათი ცხოვრებისეული მაგალითების გაცნობა მეტად საჭიროა მრევლისთვის. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება გახლდათ გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი გრიგოლი (დადიანი), რომელმაც მასზე დაკისრებული ტვირთი პირნათლად ატარა, მასზედ დადებული ჯვარი უდრტვინველად ზიდა... მინდა მის სულს შევთხოვო მეოხება ღვთის წინაშე. მწამს, რომ მისი სული ზეციდან ლოცავს საქართველოს და მის ეპარქიას ჭყონდიდს. ხედავს, ალბათ, რომ მის ნაამაგარ ეპარქიას დღეს შესანიშნავი მღვდელთმთავარი განაგებს. მჯერა, რომ როგორც მეუფე გრიგოლის დროს საკადრისი პასუხი გაეცა „ჭკვიან მტერს და უგუნურ მოყვარეს" დღესაც იგივეს გავიმეორებთ ძველ კოლხთა შთამომავალნიც".

მოამზადა
ეკა ბარდანაშვილმა

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

საქართველოს ექსპრემიერ ჟვანიას ოჯახი მისი სხეულის ექსჰუმაციაზე თანახმაა

მისი ნათესავები დარწმუნებული არიან, რომ ამ საქმეზე მიხეილ სააკაშვილი უნდა დაიკითხოს

როგორც საქართველოს მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა 17 ოქტომბერს განაცხადა, 2005 წელს საიდუმლოდ დაღუპული პრემიერის ზურაბ ჟვანიას და ქვემო ქართლის რეგიონის ვიცეგუბერნატორის რაულ იუსუპოვის თბილისში კონსპირაციულ ბინაში დაღუპვის საქმემ, რომელიც განახლდა ერთი წლის წინათ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, მიიღო ახალი დადასტურებანი. მისი სიტყვებით, ცნობილი

გახდა ამ ტრაგედიის ზოგიერთი ვითარება, ამიტომ ინტენსიურად მუშავდება ახალი ვერსია. დეტალებზე საუბრისგან პროკურორმა თავი შეიკავა.

გამოძიება აქტიურად თანამშრომლობს დაღუპულების ახლობლებთან. ექსპრემიერის ქვრივმა ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ „ოჯახი ექსგუმაციისთვის მზადაა, თუ ეს აუცილებელია“.

— იმედი მაქვს, ჩემი ქმრის გარდაცვალების ჭეშმარიტი მიზეზები ცნობილი გახდება წლის ბოლომდე, — თქვა მან.

იუსუპოვის ოჯახიც ასევე მზადაა ასეთი ნაბიჯისთვის.

ნინო ქადაგიძე-ჟვანია ამბობს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით, „აუცილებლად უნდა დაიკითხოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი“.

ანალოგიური თვალსაზრისი აქვს დაღუპული პრემიერის ძმას, დეპუტატს მმართველი კოალიციიდან „ქართული ოცნება“ გიორგი ჟვანიასაც. როგორც კი განახლდა გამოძიება, პარლამენტარმა განაცხადა, რომ სააკაშვილი „პირადად ხელმძღვანელობდა დაღუპვის ინსცენირებულ ვითარებას“. ამაშივე, მისი სიტყვებით, მონაწილეობას ღებულობდნენ შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრი ივანე მერაბიშვილი, გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი და პარლამენტის ამჟამინდელი ვიცესპიკერი საპრეზიდენტო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი ბარამიძე. მერაბიშვილი დაცვის ქვეშაა უკვე ხუთი თვეა, მას ემუქრება 17 წლით პატიმრობა წარდგენილ ბრალდებათა კომპლექსისთვის, რომელიც, სხვათა შორის, სულაც არ არის დაკავშირებული ზურაბ ჟვანიას საქმესთან. ადეიშვილი არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დამარცხების შემდეგ იმალება საქართველოს ფარგლებს გარეთ — ზოგიერთი მონაცემებით, უნგრეთში.

გამოძიების ოფიციალური ვერსიით, რასაც აწარმოებდა წინა ხელისუფლება გამოძიების ფედერალური ბიუროს მოწვეული ექსპერტების მონაწილეობით, ჟვანია და იუსუპოვი მოიწამლნენ მხუთავი აირით ირანული წარმოების, უსაფრთხოების ტექნიკის დარღვევით დაყენებული გამათბობელით.

— ეს ცრუ ვერსიაა, — განაცხადა გიორგი ჟვანიამ ჩვენთან საუბარში.

მისი მონაცემებით, ტრაგედია მოხდა სულაც არა ამ ოთახში, და უკვე პოსტფაქტუმ შექმნეს იქ პურმარილის ინსცენირება. ჟვანიასა და იუსუპოვის თითების ანაბეჭდები იქ ვერ აღმოაჩინეს, აღნიშნა დაღუპული პრემიერ-მინისტრის ძმამ.

წინა ხელისუფლებამ ვერ შეძლო დაეხურა გამოძიება და იგი ხანგრძლივ უჯრაში გადადეს. მათ შორის იმიტომაც, რომ ექსპერტიზების შედეგებს მხუთავი გაზის კონცენტრაციის შესახებ ბინაში ორმაგად ხსნიდნენ.

ცნობები ახალი სამხილების შესახებ გაახმაურეს პრეზიდენტის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, რომელიც 27 ოქტომბერს გაიმართება, ამიტომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ საუბრობენ გამოძიების პოლიტიკური ანგაჟირების შესაძლებლობის შესახებ.

— დროა, ბოლოს და ბოლოს, მივიღოთ საბოლოო პასუხები ყველა შეკითხვაზე. თუმცა მიმაჩნია, რომ შედეგად ჟვანიასა და იუსუპოვის დაღუპვის წინა ვერსია არ შეიცვლება, — უთხრა ჩვენს გაზეთს დეპუტატმა — „ნაციონალმა“ შოთა მალაშხიამ, რომელიც კარგად იცნობდა ჟვანიას.

მაგრამ გიორგი ჟვანია დარწმუნებულია, რომ დღემდე უცნობი სამხილები მეტად მნიშვნელოვანია და ისინი შეცვლიან წინა ოფიციალურ ვერსიას.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ადრე აქტიურად განიხილავდნენ ვერსიას იმის შესახებ, რომ ზურაბ ჟვანია დაახრჩვეს ან მოკლეს დიდი მასიური საფერფლის საფეთქელში დარტყმით თათბირის დროს ვიწრო წრეში სააკაშვილის მონაწილეობით. იუსუპოვი კი თითქოს გახდა ექსპრემიერის დაღუპვის „შემოგდებული ვერსიის“ მსხვერპლი.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა 17 ოქტომბერს ასევე დაადასტურა, რომ ჟვანიასა და იუსუპოვის გარდაცვალების რეალურ ვითარებებთან დაკავშირებით არის „ძალიან სერიოზული შეკითხვები“.

ИЗВЕСТИЯ
общенациональная газета

ბიძინა ივანიშვილმა მომხრეები შეაშინა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა პრეზიდენტობის კანდიდატს მმართველ კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გიორგი მარგველაშვილს ურჩია მოხსნას თავისი კანდიდატურა, თუ იგი ვერ შეძლებს გაიმარჯვოს უკვე პირველსავე ტურში 27 ოქტომბრისთვის დანიშნულ არჩევნებზე. ექსპერტების აზრით, ამით კოალიციის ლიდერი ცდილობს, მოახდინოს თავისი მომხრეების მობილიზება, მაგრამ ეწევა რისკს — მიიღოს საპირისპირო ეფექტი.

„უნდა გადაწყვიტოს გიორგიმ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვურჩევდი მას, მოხსნას თავისი კანდიდატურა“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა გაზეთების რედაქტორებთან შეხვედრაზე, როდესაც განიხილავდა პრეზიდენტის არჩევნებზე მეორე ტურის ალბათობას. მან თავისი პოზიცია დაასაბუთა იმით, რომ, თუ გიორგი მარგველაშვილი ვერ მოაგროვებს 50 პოცენტზე მეტ ხმას და ვერ გაიმარჯვებს პირველსავე ტურში, **„გამოვა ისე, რომ საზოგადოებას ჩვენი არ სჯერა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ძველებურად ოცნებობს საკაშვილის ხელისუფლებაზე“.**

ბატონი ივანიშვილის სიტყვებით, მაშინ მეორე ტურში გავლენ პრეზიდენტის კაცი დავით ბაქრაძე და პარლამენტის ექსსპიკერი ნინო ბურჯანაძე. **„გაიმარჯვებს ბაქრაძე, სააკაშვილს დანიშნავს პრემიერად, და თქვენ იმღერებთ, იცეკვებთ და იცხოვრებთ მხიარულად“,** — გააფრთხილა პრემიერმა.

საქართველოს პრემიერ პრეზიდენტის არჩევნებზე მუშაობს

სხვათა შორის, მთავრობის მეთაურმა ისიც აღნიშნა, რომ ასეთი სცენარის ალბათობა უკიდურესად მცირეა და გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს პირველსავე ტურში. **„მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მან მოაგროვოს სულ ცოტა 60 პროცენტი“,** — განმარტა ბიძინა ივანიშვილმა და გამოთქვა საფრთხე, რომ ბევრი მისი მომხრე **„დარჩება სახლში, დარწმუნებული მარგველაშვილის იოლ გამარჯვებაში, ბაქრაძის ამომრჩევლები კი მოახდენენ მობილიზებას“.**

ამავე დროს, ბიძინა ივანიშვილმა კვლავ დაადასტურა, რომ წავა პოლიტიკიდან ახალი პრეზიდენტის არჩევნებიდან ერთი კვირის შემდეგ. მაგრამ თუ სახელმწიფოს მეთაური არ გახდება გიორგი მარგველაშვილი, მილიარდერი, რომელიც გვპირდებოდა, მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაში თავისი კაპიტალის 80 პროცენტის ინვესტირება, კაპიტალისა, რომელიც შეფასებულია 5,3 მილიარდ დოლარად, უარს იტყვის ამ გეგმებზე და დატოვებს ქვეყანას.

ექსპერტთა აზრით, პრემიერის ხმამაღალი განცხადება — **„ეს არის ზუსტად გათვლილი წინასაარჩევნო გზა“. „ამით ივანიშვილი ცდილობს, მოახდინოს თავისი მომხრეების მობილიზება მარგველაშვილის მხარდასაჭერად“,** — განმარტა ჩვენთან საუბარში სოციოლოგიური სამსახურის „გორბის“ ხელმძღვანელმა მერაბ ფაჩულიამ.

გამოკითხვათა უმრავლესობის თანახმად, ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეძლებს გამარჯვებას პირველ ტურში. **მარგველაშვილს უწინასწარმეტყველებენ ხმების 42-46 პროცენტს, ბაქრაძეს — 16-დან 20 პროცენტამდე, ბურჯანაძეს — 10-დან 12 პროცენტამდე. მაგრამ გამოკითხულთა ერთმა მეხუთედმა ნაწილმა ან უარი თქვა, გაეცა პასუხი შეკითხვაზე თავისი არჩევანის შესახებ, ან განაცხადა, რომ ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება. ექსპერტების აზრით, სწორედ მათი ხმები შეიძლება აღმოჩნდეს გადამწყვეტი.**

სხვათა შორის, პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე გვაფრთხილებს: მმართველი კოალიციის ლიდერის განცხადებამ მეორე ტურის შესახებ **„შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს მარგველაშვილს, გამოიწვიოს სხვა კანდიდატების მობილიზება ბრძოლაში მეორე ტურისთვის და მთლიანად შეიძლება მიიღოს უკუშედეგი“.**

Коммерсантъ

დედამიწის ზურგზე

იანუკოვიჩს სახელმწიფო ჯილდოების გაფანტვაში სდებენ ბრალს: აჯილდოებს თავის თანამებრძოლებს, იუბილეების აღსანიშნავადაც კი

უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე თავისი ყოფნის დროს იანუკოვიჩმა მთლიანად 100 ათასი ჯილდო გადასცა, თანაც ყველაზე პრესტიჟულები ყოველთვის ხვდებოდა ახლობელ მეგობრებს, შენიშნეს ჟურნალისტებმა. მაგალითად, გმირობად მას შეეძლო ჩაეთვალა უბრალოდ მუშაობა პარლამენტში, მმართველ პარტიაში ყოფნა და სანათესავო კავშირების ქონა.

* * *

ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმა-1“-ის ძვეშ გრუნტის წყლის რადიაციის დონე დღე-ღამეში 6,5 ათასჯერ გაიზარდა

წყლის სინჯებში პარასკევს რადიაქტიურ ნივთიერებათა შემცველობამ 400 ათას ბაქტერელს გადააჭარბა ერთ ლიტრში, მაშინ, როდესაც ნორმა 150 ბაქტერელია. ამავე დროს სინჯებში, რომლებიც წინა დღით აიღეს, ბეტა-გამოსხივების დონემ ლიტრზე 61 ბაქტერელი შეადგინა. ეს ცვლილება ყველაზე მკვეთრი გახდა, რაც დაფიქსირებულა დღემდე ატომურ ელექტროსადგურზე.

* * *

იაპონიაში ტაიფუნმა „ვიპხამ“ 28 კაცის სიცოცხლე შეიწირა, უგზო-უკვლოდ 27 კაცი დაიკარგა

თითქმის ყველა დაღუპული იყო წყნარი ოკეანის კუნძულის იძუოსინის მცხოვრები, რომელმაც განიცადა ყველაზე ძლიერი დარტყმა. კუნძულის ერთ-ერთი უბანი ზვავმა დაფარა, რის შედეგადაც დაინგრა ან ძლიერ დაზიანდა 300-ზე მეტი სახლი. ტაიფუნის გავლასთან დაკავშირებით საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა 30 ათასზე მეტი კაცი იაპონიის ექვს პრეფექტურაში.

* * *

შტატ ძვედა კალიფორნიის მცხოვრებლებს სურთ, გამოეყონ მექსიკას

მოქალაქეთა ასეთი აქტივობის უშუალო მიზეზი გახდა ფედერალური მთავრობის ინიციატივა საფინანსო რეფორმის ფარგლებში გაზარდონ დღგ-ს მოცულობა 11-დან 16 პროცენტამდე საზღვრისპირა რაიონებში. შტატი ამერიკის შეერთებულ შტატებს ესაზღვრება.

◎ შემთხვევის კვალდაკვალ

სამამულო „მინი-ვიკილიქსი“?

საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის მასმედიის წარმომადგენლებთან შეხვედრები, მუდამ დინამიურად, შინაგანი წიაღსვლებით, გარკვეულწილად დაძაბულობითაც გამოირჩევა. ასე იყო 17 ოქტომბერს ბეჭდური მედიისა და რადიოსადგურების მთავარ რედაქტორებთან შეხვედრაზეც, თუმცა, ამჯერად ყურადღება მხოლოდ ერთ მომენტზე გვინდა გავამახვილოთ, რომელიც პრემიერისათვის გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ რედაქტორის თაკო ფხაკაძის მიერ დასმულ კითხვას ეხება.

ჟურნალისტი, კერძოდ, დაინტერესდა ბოლო ერთი წლის მანძილზე საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დაახლოებით შვიდასი ჯარისკაცის საკვებით მოწამვლის საკითხით, რის თაობაზე შესაბამისი ინფორმაცია არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციამ“ გავრცელა და მასთან დაკავშირებით გამოძიების მიმდინარეობით. ვიდრე ბატონ ბიძინა ივანიშვილისა და აღნიშნულთან დაკავშირებით პრემიერის პრესსამსახურის მოთხოვნით მთავარი პროკურატურის პასუხებზე გადავიდოდეთ, თავად ახალგაზრდა ადვოკატების ორგანიზაციის განცხადება გვინდა გაგაცნოთ. მასში, კერძოდ, ნათქვამია, რომ **„ბოლო ერთი წლის განმავლობაში, უხარისხო საკვების შედეგად, შვიდასამდე ჯარისკაცი მოიწამლა. კვებითი ინტოქსიკაციის უმძიმესი ფაქტები დაფიქსირდა ვაზიანის, სენაკისა და ქუთაისის სამხედრო ბაზებზე, აგრეთვე 31-ე ქარხანასთან განთავსებულ სამხედრო დანაყოფსა და საინჟინრო ბრიგადაში“.**

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ ჯარისკაცების ბოლო მასობრივი მოწამვლა ვაზიანის მე-4 ქვეით ბრიგადაში ახლახან, 10 ოქტომბერს მოხდა. თავდაპირველად თავდაცვის სამინისტროში ახალგაზრდა ადვოკატების განცხადებას დაუსაბუთებელი უწოდეს, თუმცა, მოგვიანებით ფაქტი დაადასტურეს და განაცხადეს, რომ ამ ამბავს სამხედრო პროკურატურა იძიებს.

ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში იმასაც ხაზგასმით აღნიშნავენ, სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლის ფაქტების მომრავლება მიუთითებს, რომ თავდაცვის სამინისტრო არანაირ ქმედით ნაბიჯს არ დგამს შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად, ხოლო შიდაუწყებრივი გამოძიება ფორმალური ხასიათისაა, რადგან აღნიშნულზე პასუხისმგებლობა არავის დაკისრება.

ამდენად, როგორც ჩანს, სამინისტროში ინტერესთა კონფლიქტის ნიშნები იკვეთება, ვითარების გამოსწორების არანაირი პერსპექტივა არ ჩანს, ვინაიდან სამხედრო უწყებას დაქვემდებარებულ „ქართული კვების კომპანიას“ მინისტრის ირაკლი ალასანიას მეუღლის მეჯვარე და უახლოესი მეგობარი ეკა ხურციძე ხელმძღვანელობს, ხოლო სამხედრო პოლიციის საგამოძიებო სამმართველოს უფროსია წარსულში კორუფციისთვის ნასამართლები მიხეილ ჭანუყვაძეო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციაში მიაჩნიათ, რომ თავდაცვის სამინისტროში ინტერესთა კონფლიქტის აღმოსაფხვრელად, საქართველოს მთავარი პროკურატურა ვალდებულია სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლის ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება უშუალოდ პროკურატურის ორგანოებს დაუქვემდებაროს. ასოციაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრს სამხედრო უწყებაში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის კონტროლზე აყვანის თხოვნით მიმართავს, ვინაიდან საკითხი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობასა და სახელმწიფო უსაფრთხოებას ეხება.

ამდენად, ჟურნალისტის მიერ პრემიერ-მინისტრისთვის დასმული შეკითხვა სავსებით მართებული იყო. თავის პასუხში ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ შვიდი თუ რვა ჯარისკაცის მოწამვლის ამბავი თავდაცვის მინისტრმა მას ერთხელ მოახსენა, მაგრამ მსგავსი ფაქტების გამეორების შესახებ არაფერი იცის. თუმცა კი შეხვედრის მსვლელობაში გაირკვა, რომ ჯარისკაცთა მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით სამხედრო პროკურატურაში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს გრიფი „საიდუმლო“ ადევს, რამაც პრემიერის ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია: ვინ დაადო საქმეს გრიფი „საიდუმლო“? რა სახელმწიფო საიდუმლოა ჯარისკაცების კვებით მოწამვლა? – აღშფოთებული კითხულობდა იგი.

მიუხედავად ამისა, სამხედრო ექსპერტ გიორგი ანთაძის აზრით, ჯარისკაცთა მოწამვლის ფაქტებზე აღძრული სისხლის სამართლის საქმეების, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, სამხედრო ლოჯისტიკის საკითხების გასაიდუმლოება მიზანშეწონილი და გონივრული ნაბიჯია.

– როცა საზოგადოებაში აღნიშნული საკითხისადმი ინტერესი ამდენად დიდია, საჭიროა იმის განსაზღვრა, ეს ინფორმაცია შეიცავს თუ არა ისეთ ფაქტებს, რომელთა გახმაურებამაც, შესაძლოა, გარკვეული პრობლემები შექმნას. თუ ეს ასეა, შესაძლებელია მხოლოდ მათი გარკვეული ნაწილის, მაგალითად, მოწამლულთა რიცხოვნობის გასაჯაროება, – აცხადებს იგი.

ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციაში კი მიიჩნევენ, რომ სამხედრო უწყებამ საქმის გასაიდუმლოების აუცილებლობა ოფიციალურად უნდა დაასაბუთოს.

საგულისხმოა, რომ პრემიერთან ჟურნალისტების შეხვედრის დროს გახმოვანებულ ჯარისკაცთა მოწამვლის ფაქტებთან დაკავშირებით კომენტარი „ქართული კვების კომპანიის“ დირექტორის მოადგილემ ირაკლი ფირცხალაიშვილმა გააკეთა, რომელმაც, კერძოდ, განაცხადა, რომ ჯარისკაცთა ინტოქსიკაცია ჰიგიენის ნორმების დარღვევას უკავშირდება.

– საკვები უვარგისი რომ ყოფილიყო, იქიდან გამომდინარე, რომ ბატალიონში რამდენიმე ასეული ჯარისკაცია, მოწამვლა გაცილებით მასობრივი იქნებოდა. ვაზიანში რამდენიმე ჯარისკაცის მოწამვლის მიზეზი, შესაძლოა, მათ მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევა იყოს, – თქვა მან.

გავრცელებული ინფორმაციით, გასაიდუმლოებულია ივნისში ქუთაისში განლაგებულ ერთ-ერთ სამხედრო ქვედანაყოფში ჯარისკაცების მასობრივ მოწამვლასთან დაკავშირებული სამხედრო პროკურატურის მასალები. ბოლო შემთხვევა ერთი კვირის წინათ მოხდა. თემასთან დაკავშირებით რამდენიმე კითხვა იბადება, კერძოდ, ახალგაზრდა ადვოკატების ასოციაციის განცხადებაში ლაპარაკია სამხედრო მოსამსახურეთა მასობრივი მოწამვლის არაერთ შემთხვევაზე, რა დროსაც რამდენიმე ასეული კაცი დაზარალდა, პრემიერმა კი აღნიშნა, რომ სამხედრო მინისტრმა მას მხოლოდ ერთი ფაქტის შესახებ ამცნო, რა დროსაც შვიდი თუ რვა ჯარისკაცი მოიწამლა, სხვა შემთხვევების შესახებ კი მან არაფერი იცოდა. ამდენად, გაურკვეველია, სინამდვილეში რამდენი ასეთი შემთხვევა მოხდა და რამდენი კაცი მოიწამლა საბოლოო ანგარიშით? თუ ყველა შემთხვევის შესახებ პრემიერ-მინისტრს აყენებენ საქმის კურსში, რატომ არაფერი არ იცოდა მან სხვების შესახებ? ანდა, თუ სამხედრო ლოჯისტიკის, კერძოდ კი ხარისხოვანი საკვებით საჯარისო ქვედანაყოფების უზრუნველყოფის საკითხი სახელმწიფო უსაფრთხოებას უკავშირდება, განა მთავრობის ხელმძღვანელისთვის ეს ცნობილი არ უნდა იყოს? ასევე გაურკვეველია „ქართული კვების კომპანიის“ წარმომადგენლის კომენტარი იმის თაობაზე, რომ ვაზიანის ბრიგადაში ჯარისკაცები „სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დარღვევის გამო მოიწამლნენ“. ვთქვათ, ეს მართლაც ასე იყო, სხვა შემთხვევებშიც, იმავე ქუთაისშიც არ დაიბანეს ჯარისკაცებმა ხელები ჭამის წინ? და კიდევ ერთი: თუკი ჯარისკაცთა საკვებით მოწამვლის მასალები, რომლებიც სამხედრო ლოჯისტიკის და, შესაბამისად, ქვეყნის უსაფრთხოების თემას უკავშირდება, ამდენად მნიშვნელოვანი და გასაიდუმლოებულია, როგორ მოხვდა ისინი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელში და რატომ გასაჯაროვდა? რა გამოდის, რომ სამამულო „მინი-ვიკილიქსთან“ გვაქვს საქმე?

კითხვები, ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანად წარმოიშვა, რომლებზეც პასუხი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გუშინ გავრცელებულ განცხადებშია მოყვანილი, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: **„2013 წელს შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა ბაზაზე სამხედრო მოსამსახურეებს შორის სულ 11 დიარეის შემთხვევა დაფიქსირდა. ამ შემთხვევის შედეგად 91 სამხედრო გადაყვანილ იქნა სამხედრო ჰოსპიტალში... ყველა ამ ფაქტთან დაკავშირებით სამხედრო პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები... ჯანმრთელობის ხარისხის დასადგენად ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნით, უმეტეს შემთხვევაში, დადგინდა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა – ავადმყოფური მდგომარეობა, რომელიც მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად“.**

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ გარდა სამხედრო მოსამსახურეთა მოწამვლის 11 შემთხვევის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმეებისა, სამხედრო პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში რიგ თანამდებობის პირთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს, რომლებიც ერთ საქმედაა გაერთიანებული. იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფო საიდუმლოს წარმოადგენს, აღნიშნული საქმის მასალების ნაწილს გრიფი „საიდუმლო“ აქვს მინიჭებული. ამასთან, საგამოძიებო ორგანო ვალდებულია გარკვეული ინფორმაცია განსაჯაროებისგან დაიცვას.

მიუხედავად ამისა, როგორც განცხადებაშია ნათქვამი, **„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, თავდაცვის სამინისტრო შესაძლებლად მიიჩნევდა იმ ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც არ დაარღვევდა სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონს და ხელს არ შეუშლიდა გამოძიების მიმდინარეობას. მიმდინარე წლის 10 ოქტომბერს საჯაროდ გავრცელდა სხვადასხვა ინფორმაცია თითქოსდა ორასამდე სამხედრო მოსამსახურე იყო საკვებით მოწამლული, სინამდვილეში მსუბუქი ინფექციური წარმოშობის დიარეა და გასტროენტერიტი მხოლოდ 7 მოსამსახურეზე დადასტურდა...**

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციას“, ეს მათი მხრიდან არ არის პირველი შემთხვევა, როცა ავრცელებენ გადაუმოწმებელ და დაუზუსტებელ ინფორმაციას“.

ასევე აღნიშნულია, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება ინფორმაცია ჯარებში ჩუტყვავილას მასობრივი გავრცელების, სამხედრო პოლიციის კუდ-ისა და სოდ-ის ყოფილი თანამშრომლებით დაკომპლექტების შესახებ – ამჟამად იქ მომუშავე 129 კაციდან ასეთი მხოლოდ 25 პირია.

„თავდაცვის სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს აქტიურად ითანამშრომლოს თავდაცვის სისტემით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხელი შეუწყოს მათ სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დაზუსტებაში და, საჭიროების შემთხვევაში, გაითვალისწინოს მათი შენიშვნები და რეკომენდაციები...“, – აღნიშნულია სამხედრო უწყების გუშინდელ განცხადებაში.

ოთარ ტურაბელიძე

◎ პერიოდული პრესა



„სამი საუნჯე“

3(9), 2013

გამოვიდა ჟურნალ **„სამი საუნჯის“** მესამე კვარტლის ნომერი (3(9), 2013). იგი იხსნება დიდი მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის წერილით, რომლის გარდაცვალებიდან 200 წელიც შესრულდა. ჟურნალის რედაქტორის **გრიგოლ რუხაძის** სტატიაში „ახალი ტოტალიტარული სექტა“ სააშკარაოზეა გამოტანილი ევროსაბჭოს ანტიქრისტიანული მოთხოვნები საქართველოს მთავრობის მიმართ, რომელიც ლგბტ პირების განსაკუთრებული უფლებების აღიარებასთან არის დაკავშირებული; ამასთან, ნაჩვენებია რუსეთის როლი იმ ამორალური და გლობალისტური პროცესების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც აშშ და ევროპა დანარჩენ მსოფლიოსთან აწარმოებს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს ეძღვნება, აგრეთვე, **გვანცა კოპლატაძის** „სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX საუკუნის პირველ ნახევარში“, **ნოდარ ლომოურის** „რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობის შესახებ“, **გრანი ქავთარიას** „სტრატეგიული პარტნიორობა თუ ყმადნაფიცობა“ და **მამუკა ცუხიშვილის** „პეტრე ბაგრატიონი“.

რუბრიკით „ქართლის ცხოვრება“ წარმოდგენილია ნარკვევები: **ბორის დარჩიას** „ვაჟა-ფშაველას წინააღმდეგ ბრძოლა და იოსებ სტალინი“, **თინა იველაშვილის** „მესხეთიდან გასახლებული მუსლიმების ისტორია. ახალციხის მაზრა“ და ბონდო არველაძის „ვერცხლის ქუჩაზე ქართული ეკლესია დგას“.

ეთნოგრაფიული ექსპედიციის „ჩემო სამშობლო მხარეოს“ ანგარიში და ანალიზი არის მოცემული **გვანცა კოპლატაძის** წერილში „სამცხე – ადიგენის რაიონი“, რომელიც ამ მხარეში მცხოვრები ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველების ურთიერთობებს ეხება.

ჟურნალში ასევე იბეჭდება ახალგაზრდა ავტორის **რუსუდან ლოხიშვილის** სადებიუტო ნაშრომი „თეატრის როლი საზოგადოებაში და მისი ეკლესიური შეფასება“; **თეიმურაზ ფანჯიკიძის** „განათლების ავბედითი რეფორმა საქართველოში“; რუბრიკით „თეზისები, დოკუმენტები“ – **ს. ჯანაშიასა** და **ნ. ბერძენიშვილის** 1945 წელს გამოქვეყნებული წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“; 1949 წელს გამოცემული ნარკვევი **ილ. მაისურაძისა** „მესხური ხალხური ზეპირსიტყვიერება თურქ-დამპყრობთა ბარბაროსობაზე“.

◎ ფეხბურთი

ნაწყენი არავინ დარჩა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევრო 2014-ის საკვალიფიკაციო ტურნირი გამარჯვებით დაიწყო: ნოდარ აკობიას გუნდმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე სან მარინოს 17-წლამდელთა ნაკრებს 3:1 სძლია. ჯგუფის მეორე შეხვედრაში, რომელსაც ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენამ“ უმასპინძლა, ჰოლანდიამ 4:0 დაამარცხა ფარერის კუნძულების ნაკრები.

ქართველმა 17-წლამდელებმა სამივე გოლი პირველ ტაიმში გაიტანეს: გიორგი ბერიძემ მე-8 წუთზე გახსნა ანგარიში – საჯარიმოში შეჭრილმა მეკარეს მახვილი კუთხიდან აჯობა, მე-19 წუთზე ლადო მამუჩაშვილმა საჯარიმოს გარედან შეაგდო ეფექტური გოლი, 33-ე წუთზე კი ნიკა ლაშხიამ მეკარეს ახლოდან თავზე გადაუგდო ბურთი – 3:0.

სან მარინოს ნაკრებმა ერთადერთი შეტევა 67-ე წუთზე განახორციელა და ისიც გოლით დაასრულა: მეკარის საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილმა ანდრეა ტამანინიმ ახლოდან დალაშქრა ოთო გოშაძის კარი – 3:1.

მეორე ტურში, რომელიც დღეს გაიმართება, სან მარინო ჰოლანდიას დაუპირისპირდება, საქართველო კი ფარერის კუნძულებს გაეჯიბრება. პირველ შეხვედრას 14 საათზე გორის ცენტრალური სტადიონი უმასპინძლებს, აკობიას გუნდი კი 16 საათიდან მიხეილ მესხზე ითამაშებს.

გიორგი ზოთაძე

◎ საგულისხმო ფაქტი

სოსო პავლიაშვილი სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მეჩირაღდნეა

მომღერალმა სოსო პავლიაშვილმა ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტაში მიიღო მონაწილეობა, როცა 17 ოქტომბერს ოლიმპიური ცეცხლი ქალაქ სუზდალში აანთეს.

„სპორტი და ხელოვნება – ეს ორი ბედნიერებაა, რომელიც ჩვენ ღმერთმა მოგვცა და ამაში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა, იმიტომ, რომ ხელოვნება და სპორტი ადამიანებს აახლოებს“, – ასე უპასუხა მომღერალმა ჟურნალისტის შეკითხვას, ემხრობა თუ არა პავლიაშვილი სოჭის ოლიმპიადაში საქართველოს მონაწილეობას.

შეგახსენებთ, რომ აქამდე სოჭის ოლიმპიადის ერთ-ერთი მეჩირაღდნე მომღერალი დიანა ღურწკაია იყო.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

დღეს ეროვნული ჩემპიონატი იწყება

დღეს იწყება საქართველოს ვაჟ კალათბურთელთა 23-ე ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც ცხრა გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ესენი არიან: შსს აკადემია (ჩემპიონი), „ოლიმპი“ (ვიცე ჩემპიონი), „არმია“ (ბრინჯაოს მედლის მფლობელი), „ქუთაისი-2010“, „დინამო“, „სოხუმი“, „რუსთავი“, „ბათუმი-რსუ“ და ხანგრძლივი პაუზის შემდეგ სუპერლიგაში დაბრუნებული „მაკაბი“.

ჩემპიონატი ორ წრედ, მიმოსვლითი მატჩებით თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ 22-ე ეროვნულ ჩემპიონატში 11 გუნდი მონაწილეობდა. სხვადასხვა მიზეზით სუპერლიგას სტუ, თსუ და თსსუ გამოაკლდნენ.

გთავაზობთ პირველი წრის შეხვედრათა განრიგს:

19.10.13 წრე – 1, ტური – 1
მაკაბი – შსს აკადემია 19.10.13 11:45 ქ. თბილისი,
ოლიმპი – ბათუმი – რსუ 19.10.13 14:00 ქ. თბილისი

ცენტრალური შეხვედრა,
სოხუმი – ქუთაისი 19.10.13 16:00 ქ. თბილისი,
არმია – რუსთავი 19.10.13 18:00 ქ. თბილისი.
„დინამო“ ისვენებს.

25.10.13 წრე – 1, ტური – 2
ბათუმი-რსუ – არმია 25.10.13 17:00 ქ. ბათუმი,
ქუთაისი – რუსთავი 25.10.13 18:00 ქ. ქუთაისი.

26.10.13 წრე –1, ტური – 2
დინამო – სოხუმი 26.10.13 14:00 ქ. თბილისი,

ცენტრალური შეხვედრა,
ოლიმპი – მაკაბი 26.10.13 16:00 ქ. თბილისი.
შსს აკადემია ისვენებს.

01.11.13 წრე – 1, ტური – 3
რუსთავი – სოხუმი 01.11.13 14:00 ქ. რუსთავი,
ქუთაისი – მაკაბი 01.11.13 18:00 ქ. ქუთაისი,

02.11.13 წრე – 1, ტური – 3
დინამო – ბათუმი-რსუ 02.11.13 11:45 ქ. თბილისი,
არმია – შსს აკადემია 02.11.13 14:00 ქ. თბილისი.

ცენტრალური შეხვედრა,
„ოლიმპი“ ისვენებს.

08.11.13 წრე – 1, ტური – 4
ბათუმი-რსუ – ქუთაისი 08.11.13 18:00 ქ. ბათუმი.

9.11.13 წრე – 1, ტური – 4
შსს აკადემია – ოლიმპი 09.11.13 14:00 ქ. თბილისი

ცენტრალური შეხვედრა,
დინამო – რუსთავი 09.11.13 16:00 ქ. თბილისი
მაკაბი – არმია 09.11.13 18:00 ქ. თბილისი
„სოხუმი“ ისვენებს.

14.11.13 წრე – 1 ტური-5
ბათუმი – რსუ- სოხუმი 14.11.13. 18:00 ქ. ბათუმი,

15.11.13 წრე – 1, ტური – 5
ოლიმპი არმია 15.11.13 14:00 ქ. თბილისი.

ცენტრალური შეხვედრა,
შსს აკადემია – ქუთაისი 15.11.13 16:00 ქ. თბილისი,
მაკაბი – დინამო 15.11.13 18:00 ქ. თბილისი.
„რუსთავი“ ისვენებს

22.11.13 წრე – 1, ტური – 6
ბათუმი – რსუ – რუსთავი 22.11.13 18:00 ქ. ბათუმი,
ქუთაისი – ოლიმპი 22.11.13 18:00 ქ. ქუთაისი,
დინამო – შსს აკადემია 24.11.13 14:00 ქ. თბილისი.

ცენტრალური შეხვედრა,
სოხუმი – მაკაბი 24.11.13 16:00 ქ. თბილისი.
„არმია“ ისვენებს

29.11.13 წრე – 1, ტური – 7
რუსთავი – შსს აკადემია 29.11.13 14:00 ქ. რუსთავი,
ბათუმი-რსუ – მაკაბი 29.11.13 17:00 ქ. ბათუმი,

30.11.13 წრე –1, ტური – 7
სოხუმი – ოლიმპი 30.11.13 14:00 ქ. თბილისი,

ცენტრალური შეხვედრა,
დინამო – არმია 30.11.13 16:00 ქ. თბილისი.
„ქუთაისი-2010“ ისვენებს.

07.12.13 წრე – 1, ტური – 8
მაკაბი – რუსთავი 07.12.13 11:45 ქ. თბილისი,
არმია – ქუთაისი 07.12.13 14:00 ქ. თბილისი

ცენტრალური შეხვედრა,
შსს აკადემია – სოხუმი 07.12.13 16:00 ქ. თბილისი,

ოლიმპი –დინამო 07.12.13 18:00 ქ. თბილისი.
„ბათუმი-რსუ“ ისვენებს

13.12.13 წრე – 1, ტური – 9
რუსთავი –ოლიმპი 13.12.13 14:00 ქ. რუსთავი,
ქუთაისი –დინამო 13.12.13 18:00 ქ. ქუთაისი.

14.12.13 წრე – 1, ტური - 9
შსს აკადემია – ბათუმი-რსუ 14.12.13 11:45 ქ. თბილისი,
არმია – სოხუმი 14.12.13 14:00 ქ. თბილისი

ცენტრალური შეხვედრა
„მაკაბი „ ისვენებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კანადაში ლუდი და ფეხბურთი „დაძმობილებას“ აპირებენ

ლუდი და ფეხბურთი დაძმობილდნენ და გაუდგნენ გზას. წინ საკანონმდებლო პრობლემები შეხვდათ, მაგრამ ეს წინაღობაც ადვილად გადალახეს და საბოლოოდ მათი მეგობრობა ისე კოხტად და ლამაზად შედგა, როგორც დაგიბარებიათ...

მოკლედ, კანადის პარლამენტში ახალი საკანონმდებლო ინიციატივა შევიდა. ინიციატივის ავტორები ევროპული ფეხბურთის (სოკერის) ფედერაციის წარმომადგენლები არიან. მათ სურთ, რომ ის ლუდისა და ღვინის მწარმოებელი კომპანიები, რომლებიც ფეხბურთში ფულის ჩადებას გადაწყვეტენ, გადასახადების 20%-საგან გათავისუფლდნენ.

მსგავსი ტიპის კანონები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში უკვე მოქმედებს და შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა კიდეც. თუმცა, კანადაში ხელისშემშლელი პრობლემა ისაა, რომ ამ ქვეყანაში ალკოჰოლური სასმელების დიდმასშტაბიანი რეკლამები იკრძალება, ეს კანონპროექტი კი უპირველეს ყოვლისა სასმელების რეკლამას გულისხმობს...

მანუჩარ გიორგაძე

დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ **სასადილო-სიონის მონაკვეთის (კმ0-კმ17) სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის (დაპროექტება-მშენებლობა)** გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" 2013 წლის 18 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სატენდერო მოწვევაში № KRRIP/CW/ICB-03 შეტანილი იქნა შემდეგი ცვლილება:

(1) სატენდერო მოწვევის ნომერია: **KRRIP/CW/ICB-04**

(2) 5. პრეტენდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიაროს საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ზ. დამატებითი საკვალიფიკაციო კრიტერიუმები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში: ნაწილი III – შეფასებისა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, პარაგრაფი 1.6. - **გაუქმდა**

C l a r i f i c a t i o n

Amendment has been made to Invitation for Bid No. KRRIP/CW/ICB-03 for rehabilitation works of Sasadilo-Sioni km0-km17 road section (design-build) published in the local newspaper "Republic of Georgia" by the Roads Department of Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia on October 18, 2013, as follows:

(1) Bid reference number shall read as follows: **KRRIP/CW/ICB-04**

(2) 5. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

g. Additional qualification criteria are applicable as indicated in the Bidding Document: Section III – Evaluation and qualification criteria, item 1.6. **- deleted**

◎ საგადასახადო კოდექსი

ყურადღება ბიზნეს-ინტერესია დაცვაზეა გამახვილებული

საგადასახადო კოდექსის **არასრულფასოვნებაზე, უფრო სწორად კი მის მთელ რიგ დებულებათა მკაფიოდ ჩამოუყალიბებლობაზე, გარკვეული მექანიზმების დაუხვეწაობასა და მრავალ მსგავს ხარვეზზე მსჯელობა და ბიზნესის წარმომადგენელთა ჩივილი გაუთავებლად გაისმის. არაერთგზის მცდელობისა, საგადასახადო კოდექსის იმ სახით ჩამოყალიბება, რომელიც დროის რამდენადმე ხანგრძლივ მონაკვეთში სახელმწიფოსთვისაც და მეწარმე სუბიექტებისთვისაც ერთნაირად მისაღები იქნებოდა, საშველი არა და არ დაადგა. ამის გათვალისწინებით, ერთობ საგულისხმოა საგადასახადო პოლიტიკის მხრივ ფინანსთა სამინისტროს ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც კოდექსში გარკვეულ ცვლილებებს გულისხმობს. გავრცელებული ინფორმაციით, საგადასახადო კოდექსში მომავალი ცვლილებები საქმიანი წრეების წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს. ეს, რაღა თქმა უნდა, მისასალმებელია, თუმცა კი არც იმის დავიწყება ივარგებს, რომ ბიზნესმენები რამდენიმე წლის წინათ საგადასახადო კოდექსის ახალ რედაქციასაც პოზიტიურად შეხვდნენ, მერე, შიგადაშიგ, ზოგიერთ ცვლილებებსაც იწონებდნენ, თუმცა, პრაქტიკამ და საქმის შემდგომმა განვითარებამ თვალნათლივ წარმოაჩინა, რომ ყველაფერი არც მაინცდამაინც „ფრიადზე“ იყო შესრულებული.**

ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, შემოსავლების სამსახურის უფროსმა ლაშა ხუციშვილმა, სხვა სტრუქტურული დანაყოფების თავკაცებმა საქართველოს ბიზნესასოციაციის წევრებს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები გააცნეს. ეს სიახლენი, ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსანთა განცხადებით, მიზნად ისახავს **ადმინისტრირების ახალი სამართლიანი ბაზის შექმნას, გადასახადების ადმინისტრირების სრულყოფას, აგრეთვე კანონმდებლობაში არსებულ ტექნიკურ უზუსტობათა და ბუნდოვანებათა აღმოფხვრას, რაც, საბოლოო ანგარიშით, ხელს შეუწყობს გადასახადის გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესებასა და მათი ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინებას.**

მოკლედ, ყურადღების ცენტრში, ყოველ შემთხვევაში დეკლარირების დონეზე მაინც, მეწარმეთა ბიზნესინტერესებია მოქცეული. ახლა საქმე ისაა, თუ როგორ იმუშავებს სიახლეები პრაქტიკაში, რაც მათი მართებულობის შეფასების კრიტერიუმი იქნება.

სიახლეები კი, კერძოდ, შემდეგია: **უქმდება საგადასახადო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად ფინანსთა მინისტრს საგადასახადო კოდექსის ცალკეული ნორმების საკუთარ შეხედულებათა შესაბამისად განმარტების უფლება აღარ ექნება და ისინი მთავრობას უნდა შეუთანხმოს; საგადასახადო საიდუმლოს შემცველი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება საგადასახადო ომბუდსმენისთვის, მისი მოადგილისთვის; ახალი რედაქციით ყალიბდება საგადასახადო შეთანხმების გაფორმების მექანიზმები; საგადასახადო დავალიანების შემცირების გარდა, უქმდება ყველა სხვა სახის საგადასახადო შეთანხმება; ზუსტდება, რომ დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრას ექვემდებარება საქართველოს ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული საქონლის მიწოდება ანდა მომსახურების გაწევა; გათვალისწინებულია საგადასახადო შემოსავლის აღრიცხვის სისტემის შეცვლა; მომავალი წლიდან კი დაგეგმილია გადასახადების ერთიანი სახაზინო კოდის ამოქმედება, რაც გადასახადის თანხის ერთ ანგარიშზე სახაზინო კოდის მითითების გარეშე ჩარიცხვას ითვალისწინებს; შემცირდება საგადასახადო ვალდებულებათა აღრიცხვის პირადი ბარათებისა და გადასახადების გადამხდელის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა; გადამხდელის მიერ ბიუჯეტში ჩარიცხული თანხით მხოლოდ აღიარებული ვალდებულებები დაიფარება და სხვ.**

ფინანსთა სამინისტროში ამასთან დაკავშირებით აცხადებენ, რომ აღენიშნული ცვლილებებით მიღებული საგადასახადო სისტემა გადამხდელთათვის გაცილებით უფრო მოსახერხებელი იქნება. ამასთან, ერთი სახეობის გადასახადის მეორეში გადასატანად საგადასახადო ორგანოში გადამხდელის მიმართვა საჭირო აღარ იქნება, რადგან ამ ოპერაციას სისტემა ავტომატურ რეჟიმში განახორციელებს.

ბიზნესის წარმომადგენელთათვის მომავალი წელი მეტად მნიშვნელოვანი იქნება იმ თვალსაზრისითაც, რომ **გაისად ფინანსთა სამინისტრო დაუბეგრავი მინიმუმის თემის წინა პლანზე წამოწევას აპირებს და მის უკან დაბრუნების პროცედურებს იწყებს,** როგორც ეს ფინანსთა მინისტრმა განაცხადა. იგი ერთიან სახაზინო კოდზე გადასვლის საკითხსაც შეეხო, რომლის შემოღება საქმიანობას მრავალი მიმართულებით გაადვილებს. ეს ფინანსურ ხარჯს მნიშვნელოვნად შეამცირებს, თან გაცილებით ნაკლებ ტექნიკურ ძალისხმევას მოითხოვს, — აღნიშნა საშემოსავლო სამსახურის უფროსმა ლაშა ხუციშვილმა.

ბუნებრივია, რომ **დაუბეგრავი მინიმუმის უკან დაბრუნების საკითხი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია მოქცეული.** უნდა ითქვას, რომ **დაუბეგრავი მინიმუმი შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე პირებს დაუწესდა, კერძოდ, მათ, რომელთა მიერ ხელფასის სახით მიღებული წლიური დასაბეგრი შემოსავალი 6 ათას ლარს არ აღემატება. ამასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, მონაცემთა დეკლარაციების საფუძველზე შეიქმნება აღნიშნული შეღავათის მიმღებ პირთა სია. დაქირავებული პირი შემოსავლების სამსახურში დეკლარაციის წარდგენის შემდეგ დამქირავებლის მიერ დაუბეგრავი მინიმუმის ოდენობის ხელფასის გაცემისას დაკავებული საშემოსავლო გადასახადს უკან დაიბრუნებს, ოღონდ არა უმეტეს 360 ლარისა.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომლის განხორციელებას ფინანსთა სამინისტრო უახლოეს მომავალში გეგმავს, ესაა ხანდაზმულობის ვადის ექვსიდან სამ წლამდე შემცირება, რაც ბიზნესის წარმომადგენლებმა კმაყოფილებით აღიქვეს.

ოთარ მერიშვილი

◎ SIC!

საძართველოს მთავარი პროკურორი ადასტურებს, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმესთან დაკავშირებით გამოძიება ახალ ვერსიაზეც მუშაობს. აღნიშნულის მიუხედავად, არჩილ კბილაშვილის განცხადებით, იმის თქმა, რომ საქმე გახსნილია, ჯერ ნაადრევია. გენერალური პროკურორი ამბობს, რომ საქმეში არის ახალი მტკიცებულებები, ახალი გარემოებები და შესაბამისად — ახალი ვერსია. გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს და ხდება მათი შემოწმება, დადგენა.

სააკაშვილი ირწმუნება, რომ ჟვანიას გარდაცვალება უბედური შემთხვევა იყო

რამდენად რადიკალურად განსხვავებულია ახალი ვერსია, რომელზეც გამოძიება მუშაობს, ჟვანიას გარდაცვალების შესახებ გავრცელებული ოფიციალური ვერსიისგან? მთავარმა პროკურორმა აღნიშნა, რომ გამოძიებას არც ერთი ვერსია არ გამოურიცხავს.

„ის მტკიცებულებები და გარემობები, რაც არის, რასაკვირველია, მრავალფეროვნებით ხასიათდება. საქმის გახსნა ნიშნავს იმას, რომ დავადგინოთ, რა მოხდა და აქედან გამომდინარე, დავადგინოთ ადამიანები, რომლებიც კონკრეტულ ვითარებაში მონაწილეობდნენ. ამ კონდიციამდე ჯერ მისული არ ვართ.

რამდენიმე საგამოძიებო მოქმედება ჯერ კიდევ ჩასატარებელია. იქედან გამომდინარე, რომ მათი შედეგების დროის პროგნოზირება რთულია, არაპროგნოზირებადია ვადაც, თუ როდის შეიძლება საზოგადოებას საქმესთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია მივაწოდოთ“, — აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.

მაშ ასე, ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის გარდაცვალების საქმეში ახალი გარემოებები გამოიკვეთა. შესაბამისად, ყოფილი პრემიერის გარდაცვალების ოფიციალური ვერსია, შესაძლოა, შეიცვალოს, რადგან გამოძიების განახლების შემდეგ საქმეში მნიშვნელოვანი მტკიცებულებები აღმოჩნდა. გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ძმა, პარლამენტის წევრი გოგლა ჟვანია ამბობს, რომ საქმეში არის ძალიან მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, რომელთა არსებობის შესახებ აქამდე ოჯახმა არაფერი იცოდა.

ეს მტკიცებულებები კი, მისი თქმით, ოჯახისთვის ხელმისაწვდომი გამოძიების განახლების შემდეგ გახდა. როგორც ჟვანია ამბობს, ეს დეტალები იმის წინაპირობად იქცევა, რომ საქმე უახლოეს მომავალში გაიხსნება. გარდაცვლილი პრემიერის ძმა გვამეტბის ექსჰუმაციასაც არ გამორიცხავს.

„გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა საგამოძიებო პროცედურა ჩატარდება. ზურას გარდაცვალების საქმეზე გამოძიების კითხვებზე პასუხის გაცემა მის კოლეგასა და მის ყოფილ თანაგუნდელ გიორგი ბარამიძესაც მოუწევს. სწორედ გიორგი ბარამიძე მონაწილეობდა ბინაში უანაბეჭდო ნივთების მიტანის პროცესში. ყველა ის ნივთი, რომელზეც საუბარია, მიტანილია ბინაში და ამიტომაც არ არის მათზე არანაირი ანაბეჭდი. ამ პროცესში მონაწილეობდა გია ბარამიძე, თუმცა, როგორც ვიცი, პროკურატურას ის ჯერჯერობით არ დაუკითხავს“, - განაცხადა გოგლა ჟვანიამ.

საქმეში აღმოჩენილ ახალ გარემოებებზე რაულ უსუპოვის მამაც საუბრობს. მისი თქმით, გამოძიების დასრულებისთანავე ყველა შეიტყობს, რა მოხდა სინამდვილეში. ამასთან, გარდაცვლილის მამა აღნიშნავს, რომ რაულ უსუპოვის ერთ-ერთი ფეხსაცმელი, რომელიც მტკიცებულებებიდან გაუჩინარებული იყო, აღმოჩნდა, რომ საქმეში დევს, თუმცა, სრულიად განსხვავეული ზომის, ფორმის და სხვა ბრენდის.

„აქამდე საუბარი იყო ერთ ფეხსაცმელზე და ახლა გამოიკვეთა, რომ ორივე ფეხსაცმელი ადგილზე ყოფილა. რა თქმა უნდა, ეს იყო მკვლელობა და ეს არაერთხელ მითქვამს. თუმცა, საბოლოო წერტილს ამ საქმეში გამოძიება დასვამს. მალე ყველა დავინახავთ, რომ ოფიციალური ვერსია თავდაყირა დადგება. ეს იყო პოლიტიკური ხასიათის დაგეგმილი მკვლელობა და ეს ყველამ იცის. მალე დადგინდება, რომ გაზით არ არიან მოწამლულები.

ჩემი შვილი თუ არა, მაშინ სხვა ვინმე იქნებოდა იქ სცენარის გასაფორმებლად. დადგეს უაზრო სცენარი, რომლისაც თვითონაც არ სჯერათ. რომ გახსნეს მტკიცებულებები და ვნახეთ შარვალი, ის ისეა დასვრილი ტალახით, რომ იმ შარვლით ქუჩაში არავინ ივლის, მით უმეტეს თანამდებობის პირი. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ მოხდა რაღაც ჩხუბი და შეხლა-შემოხლა“, — განაცხადა იაშა უსუპოვმა.

ზურაბ ჟვანიას საქმის გამოძიებას გამოეხმაურა პრემიერ-მინისტრი, რომლის განცხადებით ყოფილი პრემიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები არსებობს. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საუბარია ზურაბ ჟვანიას და რაულ უსუპოვის გვამების ექსჰუმაციაზე.

„საბოლოო ჯამში, ყველაფერი გამოძიებამ უნდა გაარკვიოს. მიმდინარეობს ეს პროცესი, გვამების ექსჰუმაციაზეა საუბარი და ოჯახები გამოცოცხლდნენ. მეც მქონდა საუბარი გოგლა ჟვანიასთან, პროკურატურისგანაც ვიცი, რომ განახლდა ეს საქმე. დანარჩენს დაველოდოთ. ყველაფერს გამოიკვლევენ ისევე, როგორც გირგვლიანის მკვლელობას. ფაქტია, რომ ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით სერიოზული კითხვები არსებობს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. პრეზიდენტი აცხადებს, რომ ეს იყო უბედური შემთხვევა.

„ყველამ იცის რა მოხდა, ეს იყო უბედური შემთხვევა, საქმეში ჩართული იყო ამერიკის ფედერალური ბიურო, მე დიდ პატივს ვცემ ჟვანიას ოჯახს, ის იყო ჩემი უახლოესი მეგობარი“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

გამოძიების ახალ დეტალებზე კომენტარს არ აკეთებენ ყოფილი ხელისუფლების და ზურაბ ჟვანიას გუნდის წევრები. ამ დრომდე კომენტარს არ აკეთებს ყოფილი პრემიერის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი გიორგი ბარამიძე, რომელიც ამ დრომდე დაკითხული არაა. თუმცა, როგორც პროკურატურაში განმარტავენ, ყველა ის პირი, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდა ამ საქმეში, დაიკითხება.

არსებული ინფორმაციით, საქართველოს მთავარ პროკურატურაში განახლებული საქმის ძიება ფინალურ სტადიაშია და ახალი მოწმეებიც დაიკითხნენ, რის შედეგადაც აღმოჩენილია ახალი გარემოებები.

თამთა ქარჩავა

◎ დაზუსტება

ჩვენი **გაზეთის ხუთშაბათის, 17 ოქტომბრის ნომერში მეორე გვერდზე „ინტერპრესნიუსის“ ინფორმაციაში „დარახველიძის სამინისტროს მართლაც კარგად უმუშავია“, მეორე აბზაცში ტექსტი „ვარკეთილის დასახლებაში სრულდება 16 ოცდაორსართულიანი კორპუსის მშენებლობა“, უნდა იკითხებოდეს შემდეგნაირად: „უახლოეს პერიოდში დაიწყება ვარკეთილის დასახლებაში 16 ოცდაორსართულიანი კორპუსის მშენებლობა. პროექტი უკვე მზადაა“. მადლობას ვუხდით დევნილთა სამინისტროს მოწოდებული ინფორმაციისთვის.**

◎ ინფორმაცია

გაანადგურეს დიდი ოდენობით ნარკოტიკი

შინაგან **საქმეთა მინისტრის ბრძანების თანახმად შექმნილმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საქართველოს მასშტაბით უკანონო ბრუნვიდან ამოღებული დიდი ოდენობით ნარკოტიკი გაანადგურა. შესაბამისი წესების დაცვით, გაანადგურა სხვადასხვა დროს ჩატარებული ღონისძიებების შედეგად ამოღებული 2 კილოგრამამდე ჰეროინი, 800 აბი „სუბუტექსი“, 10 გრამი კოკაინი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარიხუანა, დეზომორფინი და სხვა ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებები.**

ინტერპრესი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი საზოგადო მოღვაწის, აბაშის საპატიო მოქალაქის, აკადემიკოს

ალექსანდრე

კუჭუხიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

ნანული (ნანა) გუნია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ოჯახის უახლოესი ადამიანი, გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

ალექსანდრე

კუჭუხიძე

და დიდი გულისტკივილით სამძიმარს უცხადებს შვილებს ლალი და რომან კუჭუხიძეებს, ნათესავებს, ახლობლებს.

◎ ფრაზები

სხვათაგან თქმული

მიუსაფარ აზრთა სტრიპტიზი

● ცხოვრება ის არის, რაც შენს თავს ხდება, სანამ შენ სულ სხვა გეგმებს სახავ.

● რაც უფრო მეტ ქალს იცნობს კაცი, მით უფრო პრიმიტიული წარმოდგენა აქვს ქალებზე.

● ყველა ნიჭიერი ადამიანი სხვადასხვანაირად წერს, ყველა უნიჭო ადამიანი არა მარტო ერთნაირად წერს, არამედ ხელიც ერთნაირი აქვთ.

● ქალები, რომლებიც მამაკაცებთან თანასწორობას ესწრაფვიან, არასაკმარისად პატივმოყვარენი არიან.

● ფულის კეთება ურეკლამოდ მხოლოდ ზარაფხანას შეუძლია.

● ოჯახი ისეთი კარგი რამ არის, რომ ბევრს ის ერთდროულად ორი ჰყავს.

● უკეთუ ქალბატონს ხანგრძლივად კოცნიან, რა თქმა უნდა, ის ლაქლაქა ვინმეა.

● უმრავლესობა ოცნებობს ისეთ ცხოვრებაზე, როგორც უმცირესობა ცხოვრობს.

● არავინ ცხოვრებას ისე არ ართულებს, როგორც უმარტივესი ადამიანები.

● ყველაზე მეტს ის ჯვარი იწონის, რომელიც შენ დაგადგეს.

● ჩვენი ხალხი დაპირებებით ცხოვრობს და მაინც ეცოტავება ეს დაპირებები.

● იმისთვის, რომ უკეთესი მხრიდან გამოვჩნდეთ, პროწიალი გვიხდება.

● ცხოვრება ერთხელ გვეძლევა და კიდევ უფრო იშვიათად გამოგვდის.

● მიზანს რომ მიაღწევ, სწორედ მაშინ ხვდები, რომ მარცხი მოგივიდა.

● ჩვენს ცხოვრებაში იმდენი რამ არის სასაცილო, რომ ტირილი გინდება.

● არცთუ ისეთი სულელები თუ სადმე ცოტანი არიან, ჩვენ ძალიან ბევრი გვყავს.

● უბედურება ის კი არ არის, რომ ბატონები გავხდით და ერთმანეთს ბატონობით მივმართოთ, არამედ ის არის, რომ ამხანაგობა აღარ შეგვიძლია.

● ვაი იმ ჩიხს, რომელსაც ლაბირინთობა არ უნდა.

● ხელისუფლებისთვის ბრძოლა მიმდინარეობს სინდისის უკანასკნელ წვეთამდე.

● ასფალტი რომ მთავრდება, გზები ღრიალს იწყებენ.

● თუკი წინ არ მიდიხარ, სულ მუდამ ერთსა და იმავეს ხედავ.

● რასაც ვერ იხსენებ, არც ღირს მოსაგონებლად.

● ამინდს ყველა აგინებს, მაგრამ არავინ არ ებრძვის.

● ტელევიზორის ცქერა ერთია, მეორეა — რას ხედავ.

● ადამიანები თავისუფლები ვართ მხოლოდ ჩვენი ვარდნისას.

● თუ ყველა ზედ გალაჯებს, მაშასადამე, მწოლიარე პოლიციელი ხარ.

შეკრიბა და გაასტრიპტიზა
გურამ წიკლაურმა

◎ ჩვენი პრესდაიჯესტი

ვაკეთინაგან ვარსკვლავებამდე

ამბროლაურში ექიმებს 30 ლარს უხდიან, ხაშურში კი ხელფასს არ აძლევენ

საქართველოს რეგიონებში სამედიცინო პერსონალის პროტესტი გახშირდა. ექიმების ინფორმაციით, მიზერულ ხელფასსაც კი დაგვიანებით უხდიან, რის გამოც ბევრს ანაზღაურება რამდენიმე თვეა არ მიუღია. კვირა ისე არ გავა, საქართველოს რომელიმე რაიონში ექიმების გაფიცვა არ მოხდეს. სულ ახლახან აქცია ხაშურის საავადმყოფოს ექიმებმა გამართეს. მედიკოსები სადაზღვევო კომპანია „აისი ჯგუფისაგან“ ხელფასის 4-თვიანი დავალიანების გადახდას ითხოვენ. ხაშურის საავადმყოფოს ექიმებმა პროტესტი რამდენჯერმე გამოხატეს.

„რეზონანსი“

„ივანიშვილი და სააკაშვილი ერთი და იგივე ფილოსოფიის მატარებელი ადამიანები არიან“

— მიაჩნია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერს კახა კუკავას, — უბრალოდ, სააკაშვილი 9 წელი მართავდა ქვეყანას და ბევრი ბოროტების ჩადენა მოასწრო. ივანიშვილი ჯერ ახალია, ერთი წელია, რაც მოვიდა და იმდენი მოასწრო, რაც სააკაშვილმა მოასწრო 2004 წელს. მაშინ სააკაშვილიც ხომ არ გვეჩვენებოდა ჩვენ პირსისხლიან ჯალათად. აქედან გამომდინარე, ის, რომ ბიძინა ივანიშვილი ქვეყანაში დემოკრატიულ რეფორმებს გაატარებს და სამართლებრივ სახელმწიფოს ააშენებს, ეს შეიძლება მხოლოდ სულელმა დაიჯეროს. რეალურად კი ამისი არანაირი წინაპირობა არ არსებობს.

„ახალი თაობა“

„წინასაარჩევნოდ სააკაშვილს დაგეგმილი აძვს პროვოკაცია“

— გვაფრთხილებს „დაიცავი საქართველოს“ ლიდერი კახა მიქაია, — გარკვეულ ფაქტებზე დაყრდნობით გეუბნებით, რომ სააკაშვილმა ჩემი და ჩემი მეგობრების წინააღმდეგ „ოცნების“ კოჰაბიტაციის ნაწილთან ერთად პროვოკაცია უნდა მოაწყოს და არჩევნების წინ სამეგრელოში სიტუაციის დაძაბვა მე და ჩემს მეგობრებს დაგვაბრალოს. თუმცა, მე სააკაშვილის ანკესს არასოდეს წამოვგებივარ და არც ახლა წამოვეგები.

„ალია“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

◎ ხუმარსიტყვა

ციფრების უცნაური „მარულა“

1+4=5. 41 კი 14-ის შებრუნებული სიდიდეა!

ზოგჯერ ვარდებით,
ზოგჯერ ეკლებით
გადანაცვლებით,
ჯამის შეკრებით
14, 5, 41
ერთმანეთს ავსებს,
ერთმანეთს ერთვის...

და რადგან მსურველ
ოცდასამიდან,
სამი ვერ მოსრა მოსვრამ
შხამითა,
იმედი ისევ შერჩათ სკამის და
საპრეზიდენტო მოსასხამისა.

ალექსანდრე შენგელია

◎ მადლობის წერილი საბერძნეთიდან

დასტაქრის მადლიანი ხელი

ამ საოცარ ამბავს მადლობის წერილში მოგითხრობთ. მე საბერძნეთის მოქალაქემ სამშობლოში უბედური შემთხვევის გამო თითქმის ორივე ხელი დავკარგე. მაღალი ძაბვის დენმა ორივე მაჯა მომწყვიტა, რომლებიც მხოლოდ მყესებზე იყო დაკიდებული. პირველადი დახმარების შემდეგ სასწრაფოდ საქართველოში გამომაფრინეს და ბატონმა **ივა კუზანოვმა** ურთულესი ოპერაცია გამიკეთა, რომლის შემდეგაც ჩამიტარა პლასტიკური ოპერაციაც. ახლა სრულიად ჯანმრთელი კვლავ საბერძნეთში ვმოღვაწეობ. ბატონი ივას მადლიანი ხელის წყალობით მანქანის ტარებაც შემიძლია. მსურს, თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გადავუხადო ბატონ ივას, ვუსურვო პროფესიული წინსვლა და ჯანმრთელობა. მის ამაგს ვერასოდეს გადავიხდი.

პატივისცემით
დავით სარიდისი
ქ. კალიკრატეა. საბერძნეთი.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მოდის მეთევზე და ძლივს მოათრევს ლამის ასკილოგრამიან ლოქოს. წელში ლამის ორად არის მოკეცილი.

გზად მეორე მეთევზე შეხვდა, რომელსაც ვედრო დაჭერილი ღორჯოებით აქვს სავსე.

— **რაო**, ერთის მეტი ვერ დაიჭირე? — იქედნურად ეკითხება ლოქოიანს.

* * *

მამალმა დაინახა მიკროტალღოვან ღუმელში შამფურზე წამოცმული დედალი და გაბრაზდა:

— **ნახე ერთი, სოფელში კვერცხის დამდები აღარ დარჩა** და ეს კიდევ აქ კარუსელზე კატაობს!

* * *

ახალდაძორწინებულებმა საქორწინო მოგზაურობიდან დედას დეპეშა გამოუგზავნეს:

„**კარგად ვართ. სარა შეუდარებელია. მე ბედნიერი ვარ**“.

— **უყურე შენ! ჩემს გოგოს უკვე მოუსწრია მისთვის ტყუილის თქმა!**“ — ჩაიფრუტუნა დეპეშის ადრესატმა.

* * *

თუ ცოლი ძალიან ცუდ ხასიათზეა, მისგან უსაფრთხო დისტანციაზე დადექით და საფულე ესროლეთ.

* * *

— **გამარჯობათ! როგორა ხართ?**

— **თქვენი ლოცვებით...**

— **მაშინ ცოტა დროლა დაგრჩენიათ სასიცოცხლოდ...**

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24